645/2
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509

9
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა



დ. იაკობაშვილის ფოტო

# სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!

ახალი სასწავლო წლიდან ჩვენმა მოსწავლეებმა ჩანთებში ახალი სახელმძღვანელოები ჩაილაგეს. ისინი გულდაგულ და მონდომებით დასტამბა თბილისის წიგნის ფაბრიკაში.

გამომცემლობა „განათლებამ“ კი ცელოფანგადაკრული სასწავლო წიგნები მიაწოდა ნორჩებს. ეს სიახლე, ალბათ, გაამართლებს თავის დანიშნულებას. ცელოფანი საიმედოდ დაიცავს წიგნის ყდას დაზიანებისაგან და ბავშვები მეორე წელსაც მათ სიამოვნებით აიღებენ ხელში, ასე ახლად და სუფთად შენახულს.

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური - საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება: ხაზზეა ახალი მაგისტრალური ელმავალი ვლ 15-001

# მწვანე შუქზე ევლოს!

17. 9 70



● ინჟინერ-კონსტრუქტორები ე. კახიანი, ი. წიკლაური და ნ. კუთხაშვილი

თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლებს ამდენი სამუშაო არასოდეს ჰქონიათ. ხუმრობა ხომ არ იყო ახალი თორმეტღერძიანი მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლის — ვლ 15-001-ის შექმნა!

ელმავლის საცდელი ნიმუში დამზადდა, აღმოჩენილი დეფექტები საბოლოოდ შემოწმდა, გასწორდა და დიდმნიშვნელოვანი მომენტიც დადგა. პირველ სასინჯ გადარბენაზე უნდა გასულიყო.

ელმავალმა ექსპერიმენტული საამქრო დატოვა და ქარხნის ეზოში გამოვიდა.

ცისფრად გაწოლილ გოლიათზე ქართულად გარკვევით იკითხებოდა თემქვლ-15-001.

გული სიამაყით გვევსებოდა.

ღელავდა გამომცდელთა ბრიგადა, ვღელავდით ჩვენც.

ელმავლის კაბინაში ნემსი არ ჩავარდებოდა. აქ იყვნენ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ელმავლების კომპლექსური გამოცდის სექტორის უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ფუტკარაძე, მთავარი კონსტრუქტორი კ. აშკალოვი, ინჟინერ კონსტრუქტორი დ. ქებაძე, უფროსი ტექნიკოსი ტ. მელაძე, ზეინკალი ა. გეთია, გზათა მიმოსვლის სამინისტროს ინსპექტორი ო. ხარაძე და ახალგაზრდა სპეციალისტი ჯ. ჯალაბაძე. ელმავალს აცილებდნენ: სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ს. დესპოტაშვილი, ელმავლების კომპლექსური გამოცდის განყოფილების უფროსი ვ. ღვალაძე, გაზეთ „ელმავალმშენებლის" რედაქტორი ქეთევან ტაბატაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

ასვლით კი ავედით ელმავალში, კაბინაშიც მოვთავსდით, მაგრამ მემანქანე სასტიკ უარზე იყო: აქ მე ვარ უფროსი და არავინ ვნახო ზედმეტი, კორესპონდენტები არ ვიცი მეო!

როგორც იქნა დავიყოლიეთ პატივცემული შოთა ლაცაბიძე ჩვენს წაყვანაზე.

ელმავალი მზად იყო გასასვლელად.

— კარები მოხურეთ!

— ელმავლის ქვეშ არავინ იყოს! — გაისმა საბოლოო გაფრთხილება. პირველი ბიძგი და ელმავალი დაიძრა. საყვირმა გაბმული კივილი მორთო.

— ღელავთ, ბატონო შოთა? ხომ არ გეშინიათ? — ვეკითხებით მემანქანეს.

— რისი ეშინია, — გვეუბნება ერთერთი თანამგზავრი — 33 წელია ბატონი შოთა რკინიგზაზე დადის, კიდით კიდემდე ყველაფერი მოვლილი აქვს, თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში.

ღვაწლმოსილი მემანქანე შ. ლაცაბიძე სამი წელია ელმავალმშენებელ ქარხანაშია. მას სახინჯ გადარბენაზე გაჰყავს სხვადასხვა მარკის მაგისტრალური ელმავლები, მანამდე კი ვინ მოთვლის, სად არ ყოფილა, რა სიმძიმისა და სიმძლავრის სატვირთო თუ სახალხო ვაგონები არ უტარებია.

ელმავალი ნელ-ნელა მიიწევს წინ. პირველი დაბრკოლება გზაზე გაჩხერილ ვაგონია.

— გააჩერე! — ისმის ბრძანება.

— აბა, არჩილ, ქვევით ჩადი, ისარი გაასწორე და თუ მეისრედაც ივარგე, თანრიგს მოგიმატებ, — ამბობს პატივცემული სერგო.

არჩილი ქვევით არის.

მემანქანე ოსტატურად ასრულებს თავის მოვალეობას.

ვაგონი გვერდზე შევაყენეთ, უკან დავიხიეთ და კვლავ წინ დავიძარით.

— ისარი ბოლომდე არ არის მისული მუხრუჭები გაუშვი, რადიო მუშაობს? — ისმის დროდადრო კაბინაში.

— ამ ელმავალს, წინა ელმავალთან შედარებით, კარგი ამორტიზაცია აქვს, ნაკლები რხევებით მიდის, — საუბარში ვ. ლვალაძე ერთვება.

ვუახლოვდებით ქარხნის გასასვლელს. აქ უკვე დარაჯი არ გვიშვებს.

— მხოლოდ „კალანდაძის ჩიხამდე" მივალ. — გადასძახა პატივცემულმა შოთამ (ტყუილიც საჭირო ყოფილა ხანდახან).

დაგვრთეს ნება!

გაბმული საყვირით ვტოვებთ ქარხნის ტერიტორიას.

გამაფრთხილებელი სიგნალის ხმაა — წინ ვაგონი მოდის.

აჩიკო კვლავ ქვევით არის, ნება-ნება მიუყვება რკინიგზას.

— სულ არ ჩქარობს, — ნერვულობს ვილაც.

მემანქანე ყურმილს იღებს. სადგურ ავჭალის მორიგეს იძახებს:

— ავჭალა! ავჭალა!

ყურმილში დუმილია.

უცებ კაბინის კარი გაიღო და მძაფრი დამწვრის სუნი შემოვიდა.

— რა არის ეს? — შემკრთალები ვკითხულობთ.

— წინალობები ახალია და შრება, იმიტომ არის სუნი, — გვამშვიდებენ. გზას ვაგრძელებთ.

— ავჭალის სადგურიდან სრული სვლით გავდივართ. დაგ-დუგ-დაგ-დუგ — მუშაობს ელმავლის გული.

— ავტომატური სალოკომოტივო კავშირი უნდა ჩაირთოს, — ამბობს კონსტანტინე აშკალოვი.

— ნათურები არ არის!

— გადადით მიმდევრობით დაჯგუფებაზე. მემანქანე უსიტყვოდ ასრულებს დავალებას.

— კარგია!

აჩიკო და დავითი ნახაზებს შლიან. თითოეულ დეტალს პატივცემულ კონსტანტინესთან ერთად ამოწმებენ.

აჰა, მცხეთაც...

ელმავალი სვენებ-სვენებით ჩერდება...

მორიგე ნებას გვრთავს და გზას ვაგრძელებთ.

გაკვირვებული ხალხის მზერა ძეგვში მიგვაცილებს...

ქსანი, ბოლო სადგური...

ბაქანზე ჩამოვდივართ და ერთმანეთს პირველ გამარჯვებას ვულოცავთ, რამდენიმე გამოცდა უნდა ჩააბაროს სახელმწიფო კომისიას ვლ-15-001-მა თბილის-ხაშურის, შემდგომ სვერდლოვსკის გზაზე და ბოლოს მოსკოვში.

ყველას ყურადღების ცენტრშია უჩვეულო ცისფერი ელმავალი.

— დაგვითმეთ, ან გაგვიცვალეთ, — გვეუბნებიან სხვა ელმავლის მემანქანეები.

— არა, ჩვენს ელმავალს ვერც დავთმობთ და ვერც გაგიცვლით, — უპასუხებენ ერთხმად. ტარიელი, დავითი, არჩილი, ჯემალი, პატივცემული გიორგი, კონსტანტინე, შოთა.. მართლაც მათია ეს ელმავალი, იმათი შრომა, ფიქრი და სიყვარულია შიგ ჩაწნულ-ჩაქსოვილი. თანაც არც ის ავიწყდებათ, რომ ის ქალების საკუთრება გახლავთ, ელმავალს მათი ინჟინრული სულიც უდგას.

ზეინაბ გულედანმა — ინჟინერ-კონსტრუქტორმა ელექტროპრინციპული სქემის მიხედვით დაბალი ძაბვის მონტაჟი გააკეთა. ინეზა სულაშვილმა — მემანქანისა და მისი თანაშემწის კაბინის მონტაჟი შეასრულა, ლიდა ლუკაშევიჩმა წევის ძრავის ანგარიშები დაამუშავა, ელენე კახიანმა მართვის პანელის აგრეგატი დაამზადა, მაყვალა გოგოსაშვილმა, ირინე წიკლაურთან ერთად, სტატიკური გარდამსახი და მემანქანის კონტროლიორი დახვეწა.

თითოეული მაგთანი მუდამდღე ექსპერიმენტულ საამქროში ტრიალებდა, სადაც ვლ-15 ნაწილ-ნაწილ გროვდებოდა. იმ დღეებში ცოტა ყურადღება როდი დააკლდათ ქალბატონ ზეინაბს, ინეზას, ლიდას, ელენეს და მაყვალას ოჯახებს, მათს შვილებს!

ქსნიდან უკან ვბრუნდებით...

მხოლოდ ორსაათნახევარი დავყავით ეკიპაჟის წევრებთან ერთად და უფრო ხელშესახებად ვიგრძენით, თუ რაოდენ დიდი და პასუხსაგები სამუშაოებია შესრულებული და რა დიდი იყო გამომცდელთა ბრიგადის დატვირთვაც და მონდომებაც.

ისევ ქარხნის ტერიტორიაზე ვართ.

ელმავალი ჩერდება. ჩამოვდივართ.

კაბინას ყველაზე ბოლოს მემანქანე შოთა ლაცაბიძე ტოვებს.

მას ტაშით ეგებებიან.

ჭეშმარიტად ღირსია ამ ტაშისა პატივცემული შოთა.

ვემშვიდობებით ეკიპაჟის წევრებს.

ერთხელ კიდევ ვიხედებით უკან და სიყვარულით ვეთხოვებით მზის შუქზე ზღვისფრად აფერადებულ ელმავალს.

**ცისანა ხაზარაძე,**
**გაზეთ „ელმავალმშენებლის" კორესპონდენტი.**





# ტყიბული ✻ და ტყიბულელები

ტყიბული ქართველ მეშახტეთა ქალაქია, მის ხვედრით წილად რესპუბლიკაში მოპოვებული ქვანახშირის 70 პროცენტი მოდის. შარშან მეშახტეებმა გეგმით გათვალისწინებული 1175 ათასი ტონა ქვანახშირის ნაცვლად 1205,4 ათასი ტონა ქვანახშირი მოიპოვეს.

ამას წინათ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის ეკონომიკის საკითხების შემსწავლელი სკოლის ინიციატივა: მთელი საწარმოო პოტენციალი გამოიყენონ ლენინური ყრილობის შესახვედრად.

ბიუროს დადგენილებაში პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების მშრომელთა ეკონომიკური განათლების საბჭოებს წინადადება მიეცათ ხელი შეუწყონ ამ პარტიული მოძრაობის ყოველმხრივ გავრცელებასა და განვითარებას, ფართოდ გააჩაღონ ბრძოლა ქვეყნის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის ღირსეული შეხვედრისათვის.

ტყიბულელმა მეშახტეებმა ივალდებულეს წლის დამლევამდე დამატებით ორი ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღონ, ხოლო ხუთწლედის დავალება 7 ნოემბრისათვის შეასრულონ. ამასთანავე, XII ხუთწლედის დამდეგამდე ზეგეგმით 3,2 ათასი ტონა სათბობი ამოიღონ, და 7 ათასი ტონა ენერგეტიკული კონცენტრატი გამოუშვან (თითქმის მეოთხედი მილიონი მანეთის პროდუქცია). პროდუქციის მატება, შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდის კვალობაზე უზრუნველყონ, ყოველი ტონა ამოღებული ქვანახშირის თვითღირებულება დამატებით 0,6 პროცენტით შეამცირონ, სამი დღე დაზოგილი რესურსებით იმუშაონ.

საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის" ტყიბულის საწარმოებში დღეისათვის 3210 მუშაა დასაქმებული, აქედან 440 ქალია.

შახტებში მრავალი საოჯახო დინასტია შრომობს. ერთმანეთის გვერდით არიან და ერთმანეთს ხელს აშველებენ მამები, დედები, შვილები.

აი, თუნდაც ბეშკენაძეების ოჯახი ავილოთ.

ოჯახის მეთაური სამა ბეშკენაძე შთამომავლობით მეშახტეა. მამამისი კალისტრატე სტალინის სახელობის შახტის მოწინავე მუშა იყო. ომი რომ დაიწყო, სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა, მტერს მამაცურად ებრძოდა და დაიღუპა. რომ წამოიზარდა, სამამ მამის პროფესია განაგრძო. მეოთხედი საუკუნე შახტში მუშაობს და თავის შვილებს შრომის კარგ მაგალითს უჩვენებს. სწორედ ამიტომაც იყო, რომ შვილებმა ამ კარგ საქმეში მიბაძეს.

ბორისმა აქვე დაამთავრა შახტის საშუალო სკოლა და საავარიო ბრიგადაში ზეინკლობა აითვისა, შემდეგ ელმავლის მემანქანეც იყო და გამყვანიც, მუშაობდა და ისე დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი. დღეს ბორის ბეშკენაძე შახტის მთავარი ინჟინრის მოადგილეა და ყველაზე მთავარ დარგს — შახტში უსაფრთხო მუშაობას ხელმძღვანელობს.

სამას მეორე ვაჟმაც რამაზმა, საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, სამახტო ელმავლის მართვა პროფტექნიკურ სასწავლებელში შეისწავლა. შემდეგ მამის და უფროსი ძმის კვალს გაჰყვა და ორჯონიკიძის სახელობის შახტში დაიწყო მუშაობა. სულ ახლახან სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა და კვლავ თავის შახტს დაუბრუნდა.

კიდევ არის ოჯახში საპატიო მეშახტე — სამას ერთგული მეუღლე და ვაჟების დედა ქეთევან კაკუშაძე-ბეშკენაძე.

ქეთევანიც მეშახტეთა ოჯახში დაიბადა. მისი მამა რაჟდენ კაკუშაძე ნოვატორი მეშახტე იყო, რომელმაც თითქმის ოთხი ათეული წელი იმუშავა ტყიბულის შახტებში.

ქეთევანი მარტო კარგი მეუღლე და მზრუნველი დედა როდია, მას მოწინავე მეშახტედ იცნობენ ქალაქში; როგორც მაღალკვალიფიციური მემანქანე, რამდენიმე წელია შახტის საკომპრესორო მეურნეობას ემსახურება, უკომპრესოროდ, გარედან ჰაერის მიუწოდებლად იქ, ნაქერალის ქედის სიღრმეში, ერთი წუთითაც არ შეიძლება გაძლება. აი, როგორი პასუხსაგები უბნის გამგებელია ქეთევანი.

კომკავშირელი ნატო კაპანაძე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ტყიბულში ჩამოვიდა სამუშაოდ. მხოლოდ წელიწადნახევარია, რაც მეშახტეთა კოლექტივშია და უკვე შემოიკრიბა ახალგაზრდობა და კარგი ამხანაგის, მცოდნე სპეციალისტის და საქმეზე გულშემატკივრის სახელიც მოიპოვა.

ტყიბულის ერთ-ერთი მთავარი საწარმოა ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, სადაც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შექმნილი რთული მექანიზმები დგას. სწორედ მათი სრულყოფილად დაუფლება და მართვაა დღეს ფაბრიკის ყველა რგოლის მუშაკის ღირსების საქმე.

მარინე ვაჟას ასულმა ლაფერაძემ ეს ღირსება უკვე მოიხვეჭა: სამი წელია აქ მუშაობს და ასე კარგად დაეუფლა თავის პროფესიას - მღესავ - მღებავობას, რომ ახალბედები გამოცდილების გასაზიარებლად მასთან მოდიან. ასეთი მუშა კი ყოველთვის შესამჩნევია. ფაბრიკის კოლექტივმა მარინე ლაფერაძეს დიდი ნდობა გამოუცხადა და ტყიბულის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩია.

ტყიბული მარტო ქვანახშირის სამშობლო როდია: ზონაში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგია განვითარებული. სოფლის მშრომელები მეშახტეთა ქალაქს პროდუქტებით უზრუნველყოფენ. ზონის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალი ორგანიზაციების დაქვემდებარებაში მომუშავე 6,8 ათასი კაცი 18,6 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო და 38,7 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციას ქმნის.

რაიონულ აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ საწარმოთა მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის 1982 — 1983 წლებში ზონა ორჯერ დაჯილდოვდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. 1983 წელს ზონის სოფლის მეურნეობის წარმატება სსრკ სახალხო სამეურნეო მიღწევათა გამოფენის მეორე ხარისხის დიპლომით აღინიშნა, ხოლო 1984 წელს ქ. ტყიბულის ზონა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა. გაუმჯობესდა რაიონულ რგოლში შემავალი კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. მაგალითად, 1984 წელს, 1980 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მოცულობა, 16,5 პროცენტით გაიზარდა. თუ 1980 წელს 2 მეურნეობა ზარალიანი იყო, შარშან ყველა მათგანი მომგებიანი გახდა და რენტაბელობის დონემ 23,1 პროცენტს მიაღწია, მოგებამ კი 3062 ათასი მანეთი შეადგინა, დაგეგმილი 1590 მანეთის ნაცვლად.

ტყიბულის ზონის სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში დიდი როლი შეასრულეს მეჩაიეებმა. მათ ვადამდე, წლეულს ივნისში გაანაღდეს მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და დამზადების დავალებები. დაუღალავი შრომის შედეგად მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 59000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც ხუთწლიანი გეგმის შესრულების 102,0 პროცენტს შეადგენს. წლეულს ვალდებულებით 13 400 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა მოიკრიფოს.



მეჩაიეთა ერთი ჯგუფი



დედა-შვილი ქეთევან და ბორის ბეშკენაძეები



ინჟინერი ნატო კაპანაძე

ნ. სოფრომაძის ფოტოები

ელექტრონული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობები ადრიდანვე მოემზადნენ ჩაის კრეფის სეზონისათვის. მეჩაიეები თავშესაფარი ფარდულებით, ჩაის ფოთლის საკრეფი კალათებითა და გოდრებით, სასწორებითა და სატრანსპორტო საშუალებებით დროულად უზრუნველყვეს, რათა მათ ჩაის ფოთოლი მხოლოდ აგროწესების მიხედვით მოეკრიფათ.

ტყიბულელ მეჩაიეთა საერთო წარმატებების მოპოვებაში ავტორიტეტული სიტყვა თქვეს სახელოვანმა მეჩაიეებმა, ლენინის ორდენოსნებმა — რიმა გვენეტაძემ და თამარ გიორგაძემ, ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანმა ფოთოლა ზარნაძემ, შრომითი დიდების ორგზის ორდენოსანმა ზინა ფორჩხიძემ, შრომის წითელი დროშის ორდენოსნებმა — დალი მორჩაძემ, ციური უკლებამ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ივდითი სოფრომაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ეთერ გოტიაშვილმა, ნინო და ცაცინო ბეშკენაძეებმა, დალი მორჩაძემ, მარგალიტა კუბლაშვილმა, შურა ბერეკაშვილმა, სულიკო ლომთაძემ და სხვებმა.

ნინა მანაგაძე-ბეშკენაძეს ქმარი ფრონტზე დაეღუპა. დედისერთა გენადი პატიოსან ადამიანად აღზარდა. რძალმა ცაცინომ დედაშვილის ოჯახში სიხალისე და სიკეთე შემოიტანა, ექვსი შვილით — ორი ვაჟით და ოთხი ქალით გაამდიდრა ჯალაბი.

ექვსი შვილის დედას, ქალბატონ ცაცინოს შრომაში ვერავინ გაუტოლდება. შინმოუსვლელის ოჯახმა ხუთწლედის ოთხ წელიწადში 52,3 ტონის ნაცვლად 67,1 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, აქედან 56,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ცაცინოს ანგარიშზეა.

ქართული სოფლის ჩვეულებრივი საკოლმეურნეო ცხოვრებით ცხოვრობენ ბეშკენაძეები. — ნინა, ცაცინო და გენადი. ქალები თუ ჩაის პლანტაციებში საქმიანობენ, გენადი საკოლმეურნეო პირუტყვს მწყემსავს, პატარები კი სწავლობენ. ოჯახის შრომითს კალენდარზე დიდი ხანია მეთორმეტე ხუთწლედი აღინიშნა.

საქართველო რომ მეცხოველეობის რესპუბლიკად გამოცხადდა, ტყიბულელებმა ქვეყნის მოწინავე პოზიციებზე გასვლა გადაწყვიტეს. თუ 1983 წელს ტყიბულის ზონაში 19061 ცენტნერი რძე აწარმოეს, შარშან ამ მაჩვენებელმა 19 238 ცენტნერამდე მიაღწია. შრომაში დაწინაურდნენ კისორეთის, ბუეთის, გურნის, ორპირის, კურსების, ძმუისის და სხვა კოლმეურნეობები.

წარმატებები ყველას ერთნაირად არ რგებია. ძიროვანის, ცუცხვათის, ჯვარისის და სხვა კოლმეურნეობებმა წინა წელთან შედარებით რძის წარმოება შეამცირეს. ზოგიერთი კოლმეურნეობა კი ხორცის წარმოებაში ჩამორჩა, მაგალითად, ციხიის და ჯვარისის კოლმეურნეობები, მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმო.

შარშან მეცხოველეობის პროდუქტიულობით ბევრმა მწველავმა გაითქვა სახელი. მათ პირადი წლიური დავალება 10-11 თვეში შეასრულეს, მიღებული ნამატი 100 პროცენტით შეინარჩუნეს და პირუტყვის წონამატება საგრძნობლად გაზარდეს.

# საუბარი ბუნებასთან





სანათა თურმანაული

აი ეს მაღალი ტირიფი და იქვე ახლოს მოდარაჯე კედარი სანათას მეგობრებად ეგულებიან. ხემ ღალატი არ იცის. თუ მოუვლი, მოეფერები, ისიც თავისად ჩაგთვლის, სულს გაგითბობს, საიდუმლოს შეგინახავს. შეგიძლია ადამიანივით გაუზიარო სიხარული, შესჩივლო გულისტკივილი. ასეთ წუთებში იმგვარ შვებას გრძნობ, თითქოს სამუდამოდ გაიქარვე შემაღონებელი ფიქრები. ბავშვობაშიც ასე სჩვეოდა. მშობლიურ მაღაროსკარში მთელ დღეს ბუნებასთან ატარებდა. სუსხიან დარშიც შინ ვერ შეიყვანდნენ, ხეებთან ყოფნა ერჩივნა. მამა მეტყევე იყო და სანათას ასე ეგონა, ყოველ დილით იმიტომ მიიჩქაროდა ტყისკენ, რომ იქ ვიღაცა შველას ითხოვდა. დიდი ხნის მერე, როცა თვითონაც გაკვალა ტყისკენ მიმავალი საკუთარი ბილიკი, მიხვდა, რომ ხეებს მართლა სჭირდებოდათ მგრძნობიარე ხელი, ღია ჭრილობაც ბევრი ჰქონდათ და სატკივარიც. სხვაგვარად თუ იფიქრე, მეტყევე ვერ იქნები. ვერ გადაიტან ყველა იმ გაჭირვებას, რასაც შენი საქმის სიყვარული დაგმართებს.

თხუთმეტი წლის წინათ თავისი ხელით დარგო სანათა თურმანაულმა რამდენიმე ხე. მათ შორის ეს ტირიფიც, ახლა რომ ასე მაღლა აუზიდავს ძლიერი ტანი და მიწამდე დაშვებული ლერწამივით მოქნილი ტოტებით ვერცხლისფრად მოლივლივე წრეს ჰკრავს თავის გარშემო. ფარდასავით გადასწევ ამ შრიალა ტოტებს და მის სიმყუდროვეში ჩაიკარგები. მაშინ ეს ხრიოკი, უზარმაზარი სივრცე ნაგავსაყრელად იყო ქცეული. ირგვლივ სულიერი არაფერი მოჩანდა, დროჟამისაგან რაღაც განგებით გადარჩენილი

გაზეთ „ტყიბულის“ რედაქციამ მწველავთა 1984 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეაჯამა.

ქ. ტყიბულის ზონაში პირველი ადგილი და საუკეთესო მწველავის სახელი კისორეთის კოლმეურნეობის მწველავს ზინა ლომთაძეს მიეკუთვნა. მან შარშან გაპიროვნებული 16 ძროხიდან გეგმით გათვალისწინებული 25 280 კილოგრამის ნაცვლად 32 112 კილოგრამი რძე ჩამოწველა, ანუ თითოეული ძროხიდან საშუალოდ 2007 კილოგრამი რძე მიიღო, ამასთან ნამატი მთლიანად შეინარჩუნა.

მეორე ადგილზე ორპირის კოლმეურნეობის მწველავი ნოდარ ბასილაძე გამოვიდა. მესამე ადგილი კი ამავე კოლმეურნეობის მწველავს იულია ნოსელიძეს მიეკუთვნა. მეცხოველეობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მწველავმა ქალებმა: კისორეთელმა ევა ივანეიშვილმა, ხრესილელებმა ელენე ლაფერაძემ, თამარ გაბრიაძემ, სოჩხეთელმა მზია ცნობილაძემ, მუხურელმა თამარ კირკიტაძემ, ცუცხვათელმა ოლია ცირეკიძემ და ათობით სხვებმა.

მათი შრომა ფასდება, მათთვის აგებულია საცხოვრებელი ბინები, მოწყობილია წითელი კუთხეები, შექმნილია შრომისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობები. ადგილებზე პერიოდულად ტარდება სამედიცინო შემოწმება, ფერმების ხშირი სტუმრები არიან კულტურულ-საგანმანათლებლო დარგის მუშაკები.

მეცხოველე კოლმეურნე ქალები თვიურად საშუალოდ 250–300 მანეთს იღებენ. ამას ზეგეგმური პროდუქციის წარმოებისათვის დაწესებული პრემიებიც ემატება.

ხუთიოდე წლის წინათ კურსებელი მეათეკლასელი მარინე იამანიძე გაზეთ „ტყიბულში“ წერდა: „ვამთავრებ საშუალო სკოლას. მინდა სამუშაოდ სოფელში დავრჩე. ჩემს ფიქრებს თანაკლასელებიც იზიარებენ. უფრო მეტად მექანიზაცია მიზიდავს, მინდა აქტიური კოლმეურნე ვიყო“.

მარინემ გაამართლა დაპირება, სოფელში დარჩა სამუშაოდ. ერთი წლის შემდეგ ქუთაისის ტექნიკურ სასწავლებელში მოეწყო. ავტოქარხანაში გაამწესეს სამუშაოდ, კოლექტივს კარგად შეეწყო. მაგრამ გული სოფლისკენ, ფერმაში სამუშაოდ მოუწევდა. ჩამოვიდა კურსებში და 19 ძროხის მოვლას შეუდგა. კომკავშირელმა მწველავმა წლეულს 27 ტონა რძის მიღება გადაწყვიტა. ხუთი თვის შედეგების მიხედვით 14 ტონა რძე აქვს მიღებული, ანუ ნახევარი წლის ნორმაზე მეტი. მარინე შეასრულებს დაპირებას.

ამას წინათ, ორპირში, კულტურის სახლში მეცხოველე ქალთა შეკრებაზე გამოითქვა რწმენა, რომ ტყიბულელი მეჩაიეების მხარდამხარ მეცხოველეებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებაში.

თ. ქავთარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

---

ორად ორი კაკლის ხის გარდა. სანათას გული ნაღველით ევსებოდა, ვერ დაეჯერებინა, რომ აქ, რუსთავსა და თბილისს შორის მოქცეულ 3000 ჰექტარ ფართობზე სულ მალე ადამიანის ხელით ტყე-პარკი უნდა გაშენებულიყო.

წლებმა სიზმარივით ჩაიარა. სიზმარივით იმიტომ, რომ დღევანდელი გადასახედიდან კიდევ უფრო დაუჯერებლად ეჩვენება ახალგაზრდა მეტყევე ქალს უდაბურ ადგილზე ულამაზესი ტყე-პარკის აღმოცენება. ვისაც ახსოვს და შეუძლია ეს ორი სურათი ერთმანეთს შეადაროს, სემირამიდას ბაღივით ზღაპრულ საოცრებად წარმოუდგება ამჟამინდელი კრწანისის სილამაზე.

სანათას ყველაფერი ახსოვს, ახსოვს ტკივილად ან სიხარულად. პირველი დღიდანვე არ მოშორებია აქაურობას. სხვებთან ერთად რგავდა ხეებს, ბუჩქებს, უვლიდა, სწავლობდა მათ „ხასიათს“. შაბათი და კვირა დაივიწყა. ერთხელ საუკეთესო ჯიშის ფიჭვები ჩამოიტანეს, დარგეს. ყოველ დილით აკვირდებოდა თითოეულს. მწვანე ნაზარდს რომ შეამჩნევდა, უხაროდა. აპრილის ბოლომდე სიმწვანე ყველას უნდა დასტყობოდა, თუ საერთოდ სიცოცხლე ეწერათ. მაგრამ ზოგიერთი ფიჭვი მოწყენილი ჩანდა. სანათა ხედავდა, მის თვალწინ როგორ ნელ-ნელა ხმებოდა ფიჭვები და შველა არ შეეძლო. მერე ლოკოკინებიც შეესივნენ. სიცოცხლეჩამქრალ ნერგებს ლოკოკინები დაეპატრონებიან ხოლმე. ასეთ გულისმომკვლელ სანახაობას ვერა და ვერ შეეგუა.

ხშირად უცნაურადაც ეჩვენებოდათ სანათას გულმოდგინება. საკუთარი ხელით დამყნობილ და ნახარებ 400 ძირ ვარდს მოულოდნელად მწვანე ბუგარი შეესია. სანათას შესაწამლად ვერ გაემეტებინა ნამყენი ვარდი. ბოლოს გადაწყვიტა ყოველი ძირი სათითაოდ გაეწმინდა ბუგრისაგან. მოდიოდა სისხამ დილით, მიდიოდა დაღამებისას, არცერთი დღე არ დაუსვენია. ერთთავად იდგა და ბამბით ფრთხილად წმენდდა ფოთლებს, ისე როგორც ძვირფას ადამიანს ჭრილობას მოუწმენდავენ. ასე გადაარჩინა ვარდები დაღუპვას.

წლებმა ბევრი რამ ასწავლა. უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ ცოდნას ყოველდღიური საქმიანობით იმდიდრებდა. ახლა შეუძლია ყოველი ხისა თუ ბუჩქის სურვილი გამოიცნოს, დროზე შეიტყოს მიზეზი, დროზე მოუშუშოს იარა. პაწაწინა მინდვრის ყვავილიდან დაწყებული ფიჭვის კენწეროზე მოკიაფე ფოთლებით დამთავრებული, ყველაფერი სანათას საფიქრალია. 150-ზე მეტი ჯიშის ხე და ბუჩქი მის თვალწინ ამოიზარდა, ყოველი კუთხე დაამშვენა, ტყის სურნელებით აავსო მიდამო. სანერგეებსა და სკოლებში საუკეთესო მერქნიანი ჯიშები გამოყავთ. ცდილობენ სარგავი მასალა აქვე გამოზარდონ, აქვე შეაგუონ ადგილობრივ პირობებს, რომ მერე გადარგვის მტკივნეული პროცესი არ გაურთულდეს. საამო სანახავია კაკლის, თხილის თუ თუთის პლანტაციები. ცაცხვების სამეფო, ნეკერჩხლისა და იფნის რიგები, იასამანი და გრაკლა, კვიდო და სირიის ვარდი...

— ეს კაკლის ქუჩაა, ეს თუთის, იქით ვერხვნარს ვერხვის ქუჩა დავარქვით, — გეტყვის სანათა და ამ სიტყვებს პოეტური სტრიქონების ძალა აქვს, რადგან სხვაგვარად ამბობს, სხვა კილოთი, იდუმალი, გულში ჩაბრუნებული სიხარულით, თავისმოწონების სურვილი რომ არ ურევია.

სანათა თურმანაული დღეს უკვე კრწანისის ტყე-პარკის მთავარ მეტყევედ ითვლება. პირველად ცოტა გაუჭირდა კიდეც იმათი ხელმძღვანელობა, ვისგანაც თვითონ ისწავლა ხეთა საიდუმლო: მერე თანდათან შეეჩვია. იცოდა ყველას ხასიათი, ნაკლი და ღირსება და ცდილობდა უფროსობით მათი პატივისცემა არ დაეკარგა. ამას იოლად მიაღწია. ალბათ იმიტომ, რომ ერთი წუთითაც არ უღალატია თავისი ჩვეულებრივი საქმიანობისათვის. ისევ ძველებურად თოხნიდა და რგავდა, თავს ევლებოდა ყოველ ხესა და ბუჩქს. თუმცა ახლა სხვა საზრუნავიც ბევრი ჰქონდა. ძველი ნაგავსაყრელების ადგილზე ახლა პატარ-პატარა ლამაზი კუნძულებით დამშვენებულ ხელოვნურ ტბებშინაირგვარი თევზები დაცურავდნენ, სათბურებში სოკო იზრდებოდა, ჭალაში ფურკამეჩები ნებივრობდნენ. კრწანისის ტყე-პარკმა ყოველწლიურად 40 ტონა ქამასოკო უნდა ჩააბაროს სახელმწიფოს. 20 მილიონი სხვადასხვა თევზის ლიფსიტა... როცა ედუარდ შევარდნაძემ დაათვალიერა კრწანისის ტყე-პარკი, დიდად მოიწონა მეურნეობის მუშაკთა საქმიანობა. მან აღნიშნა, რომ „კრწანისის ტყე-პარკი

ნამდვილად საინტერესო მეურნეობაა და ნამდვილად კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ვუხამებდეთ ერთმანეთს სასურსათო პროგრამის ინტერესებსა და გარემოს დაცვის ინტერესებს, ანუ, როგორც ჩვენ ვამბობთ, ეკოლოგიურ პრობლემებს".

ყველაზე მეტად ის ახარებს სანათას, რომ ტყეში ხოხობი მომრავლდა. ხოხობი იქცა ტყე-პარკის სიმბოლოდ. ახსოვს სანათას, როგორ გაუშვეს თავისუფლად ხუთი ხოხობი. დღეს კი აქაურობა ამ ლამაზი ფრინველით არის სავსე. ახლომახლო სოფლებსაც მოედვნენ და უფრო შორსაც გასწიეს. ხოხობს სხვა ფრინველებიც მოჰყვნენ: გარეული იხვი, წყლის ქათამი, შავნისკარტა, წითელი და შავი ლაჟო, ულვაშა წიწკანა, სირიული კოდალა. გაჩნდნენ ძუძუმწოვრებიც... ერთი სიტყვით, შეიქმნა ტყისა და წყლის სამეფო.

სანათა ფშავის ულამაზეს კუთხეში გაიზარდა. მისი კერპი იყო ბიძა-გიორგი თურმანაული, — ფშავში სიკეთითა და სიბრძნით განთქმული კაცი, დიდებული მონადირე. მამამ და ბიძამ ჩაუნერგეს სიკეთე, შეაყვარეს ტყე, ბუნება და მანაც ქალისათვის ამ უჩვეულო პროფესიას დაუდო გული, საქმითაც ბუნების შვილად დარჩა. და ბედნიერია, რომ მისი ჩვეულებრივი დღე ერთფეროვანი და მოსაწყენი არ არის, რომ ყოველი ცისმარე ბუნებასთან საუბრით იწყება. ახლახანს იუგოსლავიაში და რუმინეთში იყო სამოგზაუროდ, მთელი კარპატები ფეხით დაიარა. თითქოს ნაცნობი გარემო ხვდებოდა ყველგან, იგივე მთები და ლამაზად აშოლტილი ხეები, ტყე ყველგან ტყეა, ასეთი ახლობელი და მშვენიერი. მოგზაურობიდან დაბრუნებული, დასვენებული, ფრჩხილებზე ფერწასმული, ფერიასავით ქალი რომ ნახეს, ძლივს იცნეს — აი, თურმე როგორი ყოფილა ჩვენი სანათაო!

ასეთი სანათა იშვიათად გამოჩნდება ხოლმე. ჩვეულებრივად დილიდანვე შარვალსა და რეზინის ჩექმებში გამოწყობილი გამოდის თავის სამფლობელოში და დაღამებამდე, ვინ იცის, რამდენჯერ გადასერავს ამ უზარმაზარ სივრცეს, ტყესა და ჭალას, ლელიანსა და სანერგეთა მწკრივებს.

... ქარი ყველაფერს გლეჯს. ხეს ეჭიდები, ისე გათოშილხარ, რომ იცი, მერე დიდხანს გონს ველარ მოხვალ; მაგრამ მაინც მიდიხარ... ხან წვიმა გასველებს, მთლად გალუმპულხარ, შეგიძლია რამდენიმე წუთით შეისვენო იქვე კანტორაში აგუზგუზებულ ბუხართან, მაგრამ არა, არაფერი გაცდუნებს, მიდიხარ ბუნებასთან წვიმასა და ქარში, თოვლსა და ყინვაში, ხელები გეყინება და იღიმები, — არა გშურს ბუხართან გაფუფუნებული ქალებისა... ტალახს მიაპობ და მაინც ღმერთს ევედრები, ბოლომდე შეგარჩინოს ეს სიყვარული, რადგან უიმისოდ ცხოვრება ძნელია, აუტანელიც კი, და ისე უფრთხილდები, როგორც აპრილში გამოტანილ მწვანე ნაზარდს უფრთხილდებიან ხოლმე...

ლ. თამარაშვილი



## 50 წელი სტახანოვური მოძრაობის დაწყებიდან

# ქართველი სტახანოველები



ორლოველი გლეხის შვილმა, დონბასელმა მნგრეველმა, 29 წლის ალექსი სტახანოვმა 1935 წლის 31 აგვისტოს ერთ ცვლაში 102 ტონა ქვანახშირი მოანგრია და 14-ჯერ გადაამეტა ჩვეულებრივ ნორმას. იმ დღიდან ჩაისახა წარმოების ნოვატორების ჩინებული თაოსნობა, რომელიც მისი წამომწყების, ალექსი სტახანოვის სახელის აღსანიშნავად ისტორიაში შევიდა სტახანოვური მოძრაობის სახელწოდებით. ახალი ნოვატორული მოძრაობა წარმოიშვა და განვითარდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის დამკვიდრების, მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის, მშრომელი მასების პოლიტიკური შეგნებულობის, მათი აქტივობისა და ტექნიკური მომზადების ზრდის ბაზაზე.

ალექსი სტახანოვის მიმდევრები პირველად მრეწველობასა და ტრანსპორტზე დაწინაურდნენ: ალექსანდრე ბუსიგინი და ველკა ყინინი ავტოსატრანსპორტო მრეწველობაში, მარია და დუსია ვინოგრადოვები საფეიქრო მრეწველობაში, პეტრე კრივონოსი ტრანსპორტზე და მრავალი სხვა.

სტახანოვური მოძრაობა მისი ჩასახვისთანავე საქართველოშიც გავრცელდა. ნიშანდობლივია, რომ კაცების გვერდით ამ პატრიოტულ ინიციატივას ქართველმა ქალებმაც დაუჭირეს მხარი.

ქართველი სტახანოველების ცხოვრება თითქმის ერთმანეთს ჰგავს: რევოლუციამდელი მძიმე, გაუხარელი ბავშვობის შემდეგ ახალმა ცხოვრებამ ახალი შესაძლებლობები გადაშალა მათ წინაშე, რასაც შემოქმედებითი ენერგიის არნახული გაქანება მოჰყვა. ყველაფერი ეს კი დრომ მოიტანა — ახალმა საბჭოთა ცხოვრებამ. ქალების შემოქმედებითი შრომა სასწაულებს ახდენდა...

სტახანოვური მოძრაობის პიონერებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ეთერ მაზანაშვილს — სახელოვან ნოვატორ ქალს, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს საფეიქრო მრეწველობის განვითარებაში. მან მუშაობა დაიწყო თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საექსპლოატაციოდ გადაცემისთანავე, 1929 წელს. ახალგაზრდა კომკავშირელი ქალიშვილი ზედმიწევნით დაეუფლა მქსოველის რთულ პროფესიას და შემდეგ სხვებსაც უზიარებდა

თავის მდიდარ გამოცდილებას. მან საწარმოში ნოვატორული შრომის მეთოდები გაავრცელა, გახდა პირველი ქართველი მრავალდაზგოსანი. 1935 წელს ეთერმა სტახანოვის პატრიოტული თაოსნობა აიტაცა, სტახანოვური შრომის მეთოდები თავის საწარმოში დანერგა, ბევრი ტექნიკური და ორგანიზაციული სიახლე განახორციელა, მთელი კოლექტივი დარაზმა სტახანოვური ნორმების მისაღწევად.

იმ ახალგაზრდა ფეიქრებს შორის, რომლებმაც ეთერ მაზანაშვილის მუშაობის გამოცდილება გაიზიარეს და სტახანოვური მეთოდებით მუშაობა დაიწყეს, იყო თამარ ბირკაძე. მან ზედმიწევნით შეისწავლა ფეიქრის პროფესია, საფეიქრო საქმის ტექნიკა, არ კმაყოფილდებოდა საკუთარი მიღწევებით და თავის გამოცდილებას სხვა მოწინავეთა მიღწევებით ამდიდრებდა. მას შემოკრებილი ჰყავდა ფეიქრები და თავის ცოდნას გადასცემდა. შემდგომში თამარ ბირკაძე წარმოების საუკეთესო ორგანიზატორად ჩამოყალიბდა, შრომასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ალექსი სტახანოვს მიმდევრები საქართველოს სოფლებშიც მრავლად გამოუჩნდნენ. სოფლის მეურნეობაში სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გავრცელებას ხელი შეუწყო ნოვატორი კოლმეურნე ქალების— „ხუთასოვნების“ 1935 წლის 16 ნოემბრის მიმართვამ „საქართველოს ჩაის, ვენახისა და თამბაქოს პლანტაციების დამკვრელებისადმი“, რომელსაც ხელს აწერდნენ მარიამ დემჩენკო და მისი მეგობრები. სტახანოვური მუშაობისაკენ მოუწოდებდა საქართველოს სოფლის მშრომელებს ალექსი სტახანოვიც თავის წერილში —„ საქართველოს ციტრუსებისა და ჩაის სახელოვან მებრძოლებს“, რომელიც სწორედ იმ ხანებში გამოქვეყნდა რესპუბლიკის პრესაში.

საბჭოთა კავშირის სახელოვანი ნოვატორების მიმართვამ ფართო რეზონანსი ჰპოვა საქართველოში, ერთ-ერთი პირველები მას ქართველი მეჭარხლე ქალები კარალეთელი სოფიო ბაზანდარაშვილი, ქვახვრელელი ნატალია სადაღაშვილი, სამთავისელი მარიამ ჩადუნელი, კასპელი სოფიო მარიდაშვილი და სხვები გამოეხმაურნენ. საყურადღებოა, რომ სოციალისტური შეჯიბრების პროცესში ქართველი მეჭარხლეები უფრო თვალსაჩინო შედეგებს აღწევდნენ. ნატალია სადაღაშვილმა ჭარხლის საჰექტარო მოსავლიანობა 900 ცენტნერამდე გაადიდა, ხოლო მარიამ ჩადუნელმა — ათას ცენტნერს გადააჭარბა.

ახალგაზრდა თამარ ყუფუნიამაც სტახანოვური მეთოდებით დაიწყო მუშაობა. მექანიზაციის დაბალი დონის პირობებში, საკუთარი დაოსტატების ხარჯზე მან მნიშვნელოვნად გაზარდა ჩაის საჰექტარო მოსავლიანობა. თამარ ყუფუნიამ შესძლო ის, რაც ბევრისათვის მიუღწეველ ოცნებად დარჩა — მან მთელი ცხოვრება სტახანოვურად იშრომა, და ორგზის სოციალისტური შრომის გმირი გახდა.

სახელოვანმა სტახანოველმა ქალმა ქიონია სარსანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა ჩაის საჰექტარო მოსავლიანობა. სტახანოვური შრომის მეთოდები ინგირის კოლმეურნეობაში პირველად სწორედ მან დანერგა. ქიონია ლენინის ორდენით, საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენის 18 მედლით დააჯილდოვეს, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიანიჭეს. რა იყო ასეთი დიდი წარმატების მიზეზი? ცხადზე ცხადია, რომ ნოვატორ ქალს კარგად ესმოდა თავისი შრომის მნიშვნელობა, განუწყვეტლივ სწავლობდა აგროწესებს, ყოველთვის ცდილობდა თითოეული ბუჩქის ზრდის პროცესზე დაკვირვებით ჩაის მეტი მოსავლის მიღების ახალი ხერხები გამოენახა. ყველაფერი ეს საფუძვლად დაედო სტახანოველი ქალის სარეკორდო მიღწევებს.

სტახანოვურ მოძრაობას გამოეხმაურნენ აჭარასა და აფხაზეთშიც. საქვეყნოდ გახდა ცნობილი აჭარელი აიშე გურგენიძის შრომითი მიღწევები. ბეჯითმა ქალმა აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით ჩაის საჰექტარო მოსავლიანობა მნიშვნელოვნად გაადიდა, ხოლო მისმა კოლეგამ, ოჩამჩირელმა ცაცა ქარდავამ სტახანოვური მეთოდების გამოყენებით ჩაის კრეფის დღიური ნორმა 28-30 კილოგრამამდე აიყვანა, სწორედ ამ მაჩვენებლებისათვის დააჯილდოვეს ცაცა ქარდავა „საპატიო ნიშნის“ ორდენით, ოქროს საათით და პატეფონით. მ. კალინინმა მთავრობის ეს ჯილდო მას საზეიმო ვითარებაში გადასცა.

აფხაზეთში სტახანოვური მოძრაობის ავანგარდში იდგა სახელოვანი მეჩაიე ქალი უშა ახუბა. მან შრომის საკუთარი მეთოდი შეიმუშავა, რაც შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდების საშუალებას აძლევდა. ყოველდღიურად 50 კილოგრამამდე ჩაის კრეფდა. იყო შემთხვევები, როცა გეგმას 10-ჯერ აჭარბებდა. სტახანოვური მეთოდების დანერგვით საქართველოს მეჩაიეებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს ჩაის წარმოება, უზრუნველყვეს ქვეყანა მაღალხარისხოვანი, სურნელოვანი ქართული ჩაით.

მიწათმოქმედებს არც სოფლის მეურნეობის სხვა დარგის მშრომელები ჩამორჩნენ. სტახანოვურმა მოძრაობამ საქართველოს მთის რაიონებშიც შეიხედა და იქაური ცხოვრება გამოაცოცხლა. ალექსი სტახანოვის მიმდევრები გაჩნდნენ მეცხოველეობაშიც. საქვეყნოდ გახდა ცნობილი როკის ხეობის სტახანოველი ქალის მართა პლიევას მიღწევები. ის 20-ზე მეტ ძროხას უვლიდა, წველადობის მნიშვნელოვნად გადიდებისა და საქონლის სანიმუშო მოვლისათვის ილვწოდა, საუკეთესო საწარმოო მიღწევებისათვის ბეჯითი ოსი ქალი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. კ. ე. ვოროშილოვმა მას თავისი ფოტოსურათი აჩუქა წარწერით, ხოლო ი. ბ. სტალინმა — ოქროს საათი.

სტახანოველ მეაბრეშუმე ქალთა შორის განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვეს ქისტაურელმა მეაბრეშუმე ქალებმა ოსანა აივაზაშვილის მეთაურობით. მათი შემოქმედებითი შრომის მეშვეობით 1938 წელს ორჯერ უფრო მეტად გადიდდა ერთ კოლოფ აბრეშუმის ჭიის თესლზე პარკის საშუალო გამოსავალი. ამ დიდი წარმატებისათვის ოსანა აივაზაშვილი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ოქროს მედლით და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა. ქისტაურელი მეაბრეშუმე ქალების გამოცდილება ფართოდ დაინერგა მთელს რესპუბლიკაში.

სტახანოვური მოძრაობის პიონერ ქალთა შორის შეიძლება დავასახელოთ ჩაისა და ციტრუსების უხვი მოსავლის ოსტატი აჭარელი მარიკა ფუნდუკიძი, სიღნაღელი ტრაქტორისტი ქალი ელენე ნატროშვილი და სხვა.

მართლაც საოცარი იყო ქართველი სტახანოველი ქალების შრომითი მიღწევები! მაგრამ არანაკლებ ნაყოფიერი იყო მათი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ახალმა ცხოვრებამ მათს წინაშე გრანდიოზული შესაძლებლობები გადაშალა და ისინიც აქტიურად დადგნენ ამ ცხოვრების შენობის საძირკველთან. შრომისმოყვარეობამ, სიბეჯითემ მათ შესაძლებლობა მისცა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მდგომარეობა მოეპოვებინათ. ნატალია სადაღაშვილი, ეთერ მაზანაშვილი, აიშე გურგენიძე, უშა ახუბა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები იყვნენ, თამარ ბირკაძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სოფიო ბაზანდარაშვილი — კოლმეურნეთა პირველი საკავშირო ყრილობის დელეგატი, წლების განმავლობაში გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომს თავკაცობდა, ხოლო ნატალია სადაღაშვილი — კოლმეურნეობას უძღვებოდა. მათ დიდი ღვაწლი დასდეს ქვეყანას.

სამამულო ომის შემდეგაც არ შეწყვეტილა მათი შრომითი საქმიანობა. მერეც განაგრძეს თავიანთი მოღვაწეობა იმ ადგილებზე, სადაც პარტია და მთავრობა გზავნიდა. ისინი დაკისრებულ მოვალეობას განსაკუთრებული ენერგიით ასრულებდნენ, ხელმძღვანელი თანამდებობა ექნებოდათ, თუ რიგითი.

ამიტომაც დაფასდა მათი შრომა. ისინი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიით, ლენინის ორდენით, სხვადასხვა ორდენებითა და მედლებით, საპატიო სიგელებით და, რაც ყველაზე ძვირფასია, — მშრომელი ხალხის სიყვარულით დაჯილდოვდნენ.

სტახანოვური მოძრაობა დღესაც გრძელდება. 30-იანი წლების სტახანოველების შრომითი ესტაფეტა დღეს 80-იანი წლების სტახანოველებმა აიტაცეს: ისინი ახალი გამარჯვებებით ეგებებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას.

ვ. საბახტარიშვილი,
დოცენტი.

ა. დაუშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

*დიდი სამამულო ომის ექო*



# ადამიანის სიცოცხლისათვის

ბავშვს დიდი, ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, მის მზერაში არაფერი დარჩენილიყო უდარდელი, ხალისიანი, ბავშვური. ქეთოს გული შეეკუმშა. ბიჭი ძალზე ცდილობდა ვაჟკაცურად გაეძლო შიმშილისათვის, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, ღონეგამოცლილი ბორძიკობდა. იქვე, იატაკზე მისი დები მიწოლილიყვნენ. უსუსური სახეები და ჩაფერფლილი თვალები ჰქონდათ — დაუნდობელ ომს სასიკვდილოდ გაეწირა ნორჩები.

თავზარდაცემულმა ქეთომ ხელის კანკალით ამოიღო ორცხობილა, ბავშვებს ერთბაშად აენთოთ თვალები, ბიჭს კი ხმამაღლა წამოსცდა:

— მშია! ამათაც შიათ, — და ხელი გოგონებისაკენ გაიშვირა... ცოტა ხნის შემდეგ ქეთო ბავშვებს აპურებდა, თან ცრემლებს იწმენდდა. თითქოს ყველაფერს შეაჩვია ამ ომმა: რამდენ ჯარისკაცს დაუხუჭა თვალი, რამდენს გადაუსხა საკუთარი სისხლი, მათ შორის კაპიტან სერგი სიდორენკოსაც, რომელმაც მადლიერების გამოსახატავად თავის გოგონას ქეთინო დაარქვა. ომში სასწაულებიც ხდებოდა. ერთ-ერთი სასწაული ისიც იყო, რომ ქეთო ნაცვლიშვილმა და მისმა მეგობრებმა სარდაფში, მკვდრებს შორის უპატრონოდ მიტოვებული, სასიკვდილოდ დაჭრილი ქართველი ლეიტენანტი გოგი გამყრელიძე იპოვეს და თავგანწირული მკურნალობითა და მოვლა-პატრონობით სიკვდილს გამოსტაცეს.

ხულ სამი კვირა დარჩნენ ბავშვებთან საველე ჰოსპიტლის ექიმები და საკუთარი ულუფით კვებავდნენ, მათი დედა უსაზღვროდ მადლიერი იყო. თქვენ რომ არა, მომიკვდებოდნენო.

დრო გადიოდა, გაზაფხული ძალას იკრებდა, გამარჯვება ახლოვდებოდა. იმედის სხივი ჩაუდგა თვალებში ქეთევან ნაცვლიშვილს, ღიმილი დაიბრუნა, კისკისიც გაიხსენა, ერთხელ ღიღინიც სცადა; და აი, გამარჯვება კენიგსბერგში იზეიმეს ქეთომ და მისმა მეგობრებმა. ქალებმა ერთბაშად მოურიდებლად ამოუშვეს ქვითინი — ამდენი ხნის დაგროვილმა ტკივილმა გზა იპოვა.

ქეთომ ახლაღა იგრძნო, როგორ მონატრებოდა თავისიანები, თბილისი, საქართველო. გაახსენდა დედ-მამა, დები, სოლოლაკის პატარა ოთახი, იქ გატარებული ხალისიანი სტუდენტური დღეები...

სამტრედიაში დაიბადა და გაიზარდა, საშუალო განათლება იქვე მიიღო. ხუთი ქალიშვილი ჰყავდათ გერასიმე და ვერა ნაცვლიშვილებს და ხუთივე სპეციალისტი გახდა: ექიმი, ინჟინერი, ისტორიკოსი, ფილოლოგი...

ქეთინოს ფარმაცევტობა იტაცებდა. ნატვრა აისრულა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

— დღეს უნივერსიტეტში ვახტანგ კოტეტიშვილი კითხულობს ლექციას, — ამბავს მოიტანდა უფროსი და, და ყველანი უნივერსიტეტისაკენ მიიჩქაროდნენ, რათა სტუდენტებით გაჭედილ აუდიტორიაში როგორმე ადგილი ეპოვათ.

ხვალ შალვა ნუცუბიძის ლექციაზე უნდა შევიდეთ, — აფრთხილებდა დებს ერთ-ერთი მათგანი და შემდეგ ყველანი მეორე დღის მოლოდინით ცხოვრობდნენ. მერე ბრუნდებოდნენ შთაბეჭდილებებით დატვირთულები, კამათობდნენ, ერთმანეთს აზრებს უზიარებდნენ, ხმამაღლა ოცნებობდნენ, მომავალი დღის გეგმებს ადგენდნენ, მეცადინეობდნენ.

ასე საინტერესოდ მიდიოდა დღეები. ქეთინო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბაქოში გაამწესეს. რამდენიმე თვის შემდეგ კი ომი დაიწყო და ოცდაერთი წლის ქალიშვილი ფრონტზე გაემგზავრა.

საველე ჰოსპიტლის ლაბორატორიის უფროსი ქეთევან ნაცვლიშვილი მუდამ დაჭრილების გვერდით ტრიალებდა, უმცროსი დის უანგარო ერთგულებით უვლიდა მათ.

ხუთი წელი იარა ქალმა ომის გზებზე: სტალინგრადი, უკრაინა, ბელორუსია... გადამწვარი სოფლები და ქალაქები, აბოლებული პურის ყანები, დანახშირებული ადამიანები, ნანგრევები, ჩონჩხები, მოთქმაგოდება.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ ქეთევანი საქართველოში ბრუნდებოდა. მოულოდნელად ეშელონი გაჩერდა. მოისმა ბრძანება: ქეთო ნაცვლიშვილი და მისი მეგობრები მეორე ეშელონში უნდა გადასულიყვნენ.

— რატომ? — გაკვირვება ვერ მოასწრო ახალგაზრდა ქალმა.

— შორეული აღმოსავლეთის ფრონტზე მივდივართ! — იყო პასუხი.

ისევ გაგრძელდა გზა. ისინი მანჯურიის ქალაქ მუდაძიანში დაბანაკდნენ. ისევე ტყვიების წვიმა და დაჭრილთა კვნესა. ქეთევანმა აქ მთავარსარდლის მადლობა და მედალი მიიღო.

ომის დამთავრების შემდეგ ცხრა წელიწადი სამედიცინო ინსტიტუტის ორგანული და ბიოლოგიური ქიმიის კათედრაზე იმუშავა ქეთევანმა. დღეს კი თბილისის № 3 აფთიაქის მმართველის მოადგილე და უმაღლესი კატეგორიის დამსახურებული პროვიზორია.

ამ რამდენიმე წლის წინათ მეუღლე გარდაეცვალა — სამამულო ომის მონაწილე, პროვიზორი ალექსანდრე ღვინიაშვილი, რომელიც თბილისის № 24 აფთიაქის მმართველი იყო.

ახლა ქეთევანი ცალად აგრძელებს იმ ძალიან რთულსა და საპატიო საქმეს, რომელსაც დიდი ცოდნა და ყურადღება სჭირდება, აგრძელებს ადამიანის სიცოცხლისათვის ბრძოლას.

ირინე კუკავა



ელექტრონული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარგიზა მგელაძე

# მამიკოს ამხანაგები

მთელი წლის საყვედურის შემდეგ: ბავშვი საცაა ხუთი წლის გახდება და ვერ იქნა, ზოოპარკში ვერ წაიყვანეო, გიგლამ შაბათ საღამოს თქვა:

ხვალ პაპუნა ზოოპარკში მიმყავს.

ბავშვი დაბანეს შარვალი დაუუთოვეს, ქურთუკი გაუწმინდეს. აბაზანაში, ლოგინში დაძინებამდე სულ ჟირაფის, სპილოს და ყაპუზუნას ამბავი ისმოდა.

— ფუნთუშა რომ მივცე შეიძლება? ლომი ხომ არ მიკბენს? არწივი იქნება? შვლის ნუკრი?

— ახლა დაიძინე, ყველაფერი იქნება, ხვალ ყველაფერს ნახავ, — ამშვიდებდნენ აღელვებულს. ბავშვმა ძლივსძლივობით ჩაიძინა.

ზოოპარკის შესასვლელთან ტაქსი გაჩერდა თუ არა, გიგლას ამხანაგები შემოეხვივნენ.

— სად ხარ, ბიჭო, მთელი დღეა გეძებთ. სახლში დავრეკეთ და ზოოპარკში წავიდაო. კიდევ კარგი მოგისწარით. თაზომ ქალი მოიტაცა.

აბა, ავარბენინოთ პაპუნა სახლში, ბიჭები „სამადლოსთან“ გველოდებიან. გუჯა, ნუღარ გაუშვებ მაგ ტაქსს. მოუჩქარეთ ცოტა.

გიგლა შეყოყმანდა. ბავშვი დაყინებით მისჩერებოდა და პატარა ხელს მაგრად უჭერდა.

„მოიცადეთ! — დაიძახა გუჯამ, ზოოპარკის შესასვლელში მდგომ ბოშა ქალს ბრჭყვიალა ქაღალდში გახვეული, ნახერხით გატენილი სამი ბურთი და სამი წითელი მამალო გამოართვა და ამ ნობათიანად მამა-შვილი თითქმის ძალით შეტენა ტაქსში. თვითონ მძღოლის გვერდით დაჯდა. აქ დაგვიცადეთო! — გამოსძახა ბიჭებს და მძღოლს ხელით ანიშნა: გმირთა მოედანს შემოუარე და საბურთალოსკენ წადიო.

მანქანა დაიძრა.

დედამ კარი გააღო. ასე მალე არ მოელოდა ქმარ-შვილის დაბრუნებას და დიდ სარეცხს შედგომოდა.

— გამომართვი ბავშვი. რომ მოვალ ყველაფერს გიამბობ, — სულმოუთქმელად მიაძახა გიგლამ და კიბეებზე კისრისტეხით დაეშვა.

— იყავით ზოოპარკში? — ჰკითხა დედამ ბავშვს და ქურქი გახადა.

— კი ვიყავით.

— სპილო ნახე?

— არა.

— დათუნია?

— არა.

— ყაპუზუნა?

— არა.

— არც კენგურუ?

— არა.

— აბა რა ნახე იქ? — გადაუსვა ხელი დაცვარულ შუბლზე. გამომცდელად დააცქერდა.

— მამიკოს ამხანაგები, — მიუგო ბავშვმა.

# პურზე წასული კაცი

ის-ის იყო „ადიდასის“ პიჟამიანმა, საშინაო ფლოსტებში ფეხწადგმულმა თონის პურის საყიდლად სახლიდან გამოსულმა ხუტამ, რომელსაც ბალახვანში ქუდზე კაცი იცნობდა და პატივს სცემდა როგორც არც თუ ისე შორეულ წარსულში ცნობილ მოკრივეს, გადამწყვეტი შეჯიბრების ბოლო რაუნდში თავისთვისაც მოულოდნელად ნოკაუტში რომ ჩააგდო ჩემპიონობის ნაღდი პრეტენდენტი და თვითონ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ანეკდოტების ახალი ციკლი მოისმინა მაღაზიასთან მდგომი ბიჭებისაგან და მაღაზიაში შესვლა დააპირა, მაგრამ მუდამ მოღიმარი, მეჩხერ კბილებიანი ჟორჟიკა სახელოზე წაეპოტინა:

— შენი ჯერია.

— ჩემი ყველა დაძველდა აი, წვერები.

— მიდი, მიდი — მოითხოვეს სხვებმაც.

— ბიჭო, სადილზე მელოდებიან, პური უნდა ავიტანო.

— ჯერაც არ დაგიგვიანია ხომ იცი, სადილზე, პა, თქვი და წადი.

ხუტამ კეფა მოიფხანა და ფრთხილად დაიწყო.

— ის ხომ იცით, ქორწინებიდან თხუთმეტი წლის თავზე ცოლ-ქმარმა რომ გაიღვიძა... ხუტა შეჩერდა და ბიჭებს თვალი მოავლო, იციან თუ არაო.

— მერე, მერე — შესძახეს ბიჭებმა და წინდაწინ დაიკრიჭნენ.

— ცოლი ფიქრობს: აბა, ამ ჩემს ბედოვლათს თუ გაახსენდება, რომ დღეს თხუთმეტი წელი გახდა, რაც მაგას ვემსახურები, მთელი ახალგაზრდობა შევწირე, აბა ტკბილ სიტყვას მაინც თუ მეტყვის? გამიგონია? არც ახსოვს.

ქმარი კი ამ დროს თავის ფიქრებშია გართული.

— დღეს თხუთმეტი წელი შესრულდა, რაც „გავბედნიერდი“, პირველ დღესვე რომ მომეკლა, დღეს ხომ გამოსული ვიქნებოდიო.

ბიჭები ჯერ კიდევ ხარხარებდნენ, როცა სადგურისაკენ მიმავალი შავი „ვოლგა“ გამოჩნდა, მათთან მოახლოებისას სვლა შეანელა და ზედ ტროტუართან დაამუხრუჭა.

კარი გაიღო და ვეებერთელა მხრები ძლივს გამოეტია „ვოლგის“ ღია კარიდან.

— ვა, ხუტა? — დაიძახა მხარბეჭიანმა და ბიჭებში მდგარ ხუტასკენ გამოალაჯა. არანაკლებ გაოცებული ხუტა თვალისდახამხამებაში მოექცა გოლიათის მკლავებში და ერთი ხუთი წუთი „გენაცვალე, ცავატანემ, რას წარმოვიდგენდი, ვალოდიაჯან, აბა, კაცო, შენი ჭირიმეს“ და გოლიათურ მხრებზე ხელის გვარიანი ძალით დარტყმის მეტი აღარაფერი ისმოდა. ბიჭებმა სიცილი შეწყვიტეს და გაოცებული უცქეროდნენ ხუტასა და უცნობი გოლიათის ალერსს.

— ბიჭებო, იცნობდეთ ენგიბარიანია, ჩვენი ცნობილი მოკრივე, ჩემი ძმაკაცი, ჩემპიონატში ერთად გამოვდიოდით.

ენგიბარიანმა სათითაოდ ჩაბღუჯა ყველას მარჯვენა.

— აბა ავედით! — გასცა განკარგულება ხუტამ და სტუმარს მსუბუქად უბიძგა, სახლისაკენ შეაბრუნა.

— ჩე, ტო. ახლა ვერა, მეჩქარება.

— პა, პა, პა, — ეგენი არ იყოს. ლეუშა, გავარდი კოტესთან. ხვანჭკარის გარდა სხვა ღვინო არ მინდა. აბა ჰე, გოჭი ისე შეწვას, ყურები არ დაუწვას. — საქმიანად დაფაცურდა ხუტა.

— მომისმინე, ხუტა, — თხოვა სტუმარმა და უშველებელი, თითქოს სევდაგარეული შავი თვალები დაენამა, — დღეს ჩემი ბიჭი ათი წლის ხდება. მოსკოვიდან მოვდივარ, არსად შევჩერებულვარ, რომ ჩამესწრო. თუ ხარ ჩემი ძმა და მეგობარი, ჩაჯექი და წავიდეთ.

— ჩემი თავი შენ გენაცვალოს, — დაიძახა ხუტამ. „ვოლგას“ მეორე მხრიდან მოუარა და სტუმარს დაასწრო მანქანაში ჩაჯდომა.

ვალოდიას სახე გაუნათდა. თეთრი კბილები გამოუჩნდა.

— ბიჭებო, ყველას გთხოვთ!

— ბედნიერად, ბედნიერად, სხვა დროს იყოს, — ხელი დაუქნიეს ბიჭებმა.

მანქანა დაიძრა. კოოპვაჭრობის მაღაზიასთან მარჯვნივ, მიასნიკოვის ქუჩისკენ შეუხვია.

ბიჭებმა თვალი გააყოლეს.

— კოტესთან მიდის. ხვანჭკარას წაიღებს, აბა ერევანში ძმაკაცთან, ისიც ბიჭის დღეობაზე ხელცარიელი ხომ არ მივა? — მიხვდა ჟორჟიკა.

ღამის პირველ საათზე ბალახვანში, ყოფილი მოკრივის სახლში ტელეფონი აწკრიალდა.

გულგახეთქილი ცოლი, რომელიც წყლიან ჭიქაში ვალერიანის წვეთებს ისხამდა, სათვალავი ერეოდა და ბრაზობდა, მაშინვე დასწვდა ყურმილს.

— ლილი, გენაცვალე, — ცოტა ენა ემლებოდა ხუტას, — პურზე სხვა გაგზავნე, მე ძმაკაცის შვილის დღეობაზე ვარ აგერ ერევანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი კარლო ფაჩულია

ლილის ხელიდან გავარდნილმა ყურმილმა იატაკზე დაცემისას მჭახე ხმა გამოსცა.

გაბზარული ყურმილიდან მძაფრ სიჩუმეში გაოცებანარევი „ტუ-ტუ, ტუ“ ისმოდა, თითქოს საყვედურობდა: რა იყო, შე ქალო, ვითომ პირველადაა პურზე წასული ხუტუნია ძმაკაცის გულისათვის მოს-კოვში და ლენინგრადში რომ აღმოჩენილა. დრო აღარ არის, რომ მიეჩვიო?

# ჩიტი

ბიჭს კარგი გოგო უყვარდა. მიდიოდა ქუჩაში და იღიმებოდა. იმიტომ იღიმებოდა, რომ განუწყვეტლივ ესმოდა გალობა. ჩიტი კი არსად ჩანდა. არადა თავგამოდებით გალობდა. ჭიკ-ჩირიკ-ჩირიკ, ჭიკ-ჩირიკ-ჩირიკ, ჩიკ!..

ყელი მოღუღუნებინა, პაწია აპრიალებული თვალები მიელულა, ყელზე მსუბუქი მომწვანო ბუმბული უთრთოდა.

თუ უცნაურ მელოდიას დაჟინებით სამჯერ გაიმეორებდა, ეს ნიშნავდა, რომ გოგო სადაც იყო, გამოჩნდებოდა.

ბიჭს უნდოდა ხელისგულებში მოექცია ეს მგალობელი და მო-ფერებოდა, მაგრამ რა ექნა, გულს ხომ ვერ გაიხსნიდა?

გოგოს მის დანახვაზე თვალები უციმციმებდა... ხოლო თუ სა-ყვარელ არსებას თვალები უციმციმებს შენს დანახვაზე, ეს ნიშნავს, რომ ბედნიერი ხარ.

გოგოს დედას არ ეთმობოდა შვილი და არ უნდოდა ბიჭზე ეფიქრა, მაგრამ უცნაური რამ ხდებოდა, როცა შვილს ლამაზ კა-ბას უკერავდა, ესმოდა როგორ ჭიკჭიკებდა ჩიტი ბიჭის გულში და ეს ჭიკჭიკი ახარებდა.

ახარებდა და კიდევ უფრო ლამაზად რთავდა გოგოს. თუმცა შფოთავდა, უარობდა... ჩიტი მაინც თავისას შვებოდა.

დადგა შემოდგომა, სუსხიანმა ქარებმა წაიღეს ჭადრის უკანას-კნელი ფოთლები.

ჩამოთეთრდა ქალაქს გარსშემოჯარული მთების ფერდები. რა-ღაც აშკარად იცვლებოდა ბუნებაში.

რაღაც იცვლებოდა გოგოს გულშიც. რატომ? ვინ იტყვის რა-ტომ ცვლის გაზაფხულს ზაფხული ან შემოდგომას ზამთარი? ან კიდეც რომ ვიცოდეთ, რას ვაქნევთ ამ ცოდნას?

...ერთ დღეს გოგო რომ უნდა გამოჩენილიყო, ჩიტი აღარ აჭიკ-ჭიკდა.

ბიჭი აწრიალდა. თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდე-ბოდა, მხოლოდ ჩიტის გალობა არ ისმოდა.

გამოჩნდა გოგოც. თვალები არ უციმციმებდა. ბიჭისკენ აღარ იყურებოდა. დედა უკერავდა გოგოს ლამაზ კაბას და უკვირდა ჩი-ტის ჭიკჭიკი რომ არ ესმოდა.

კაბა ლამაზი არ გამოდიოდა. ბაფთითაც მორთო, მაქმანითაც. მაინც რაღაც აკლდა. შებრუნდა. ჩუმად შეიმშრალა თვალზე მომ-დგარი ცრემლი. სხვა არაფერი...

დედას მოკლული ჩიტი ებრალებოდა.

# საზღვარი

დაუღლელი, უმტვერო დილის მზე სითბოს უფრო გვპირდება, ვიდრე გვათბობს.

ნაცნობი ბილიკები თითქმის წაუშლია გაზაფხულზე ერთბაშად მოვარდნილ სიმწვანეს. მიწაზე გართხმულ მოლურჯო-მომწვანო ზღვის ბალახებსა და ჟჟღილისფრად აბიბინებულ კოინდარში თა-მამად, გამომწვევად აშოლტილა ზამბახი. გულისწამღებად ნაცნობი ნაზი სურნელი ზამბახისა რაღაც მიღმიურზე მაფიქრებს.

ყველაზე მეტად აქაურობას უხდება მისი იდუმალი ხავერდოვნე-ბა და მირაჟული თავბრუდამხვევი ხვეულები.

ო, როგორ ეტკინებათ გული გულგრილად რომ ჩაუარო, თვალით არ მოუალერსო.

სევდანარევი სიხარულით მივყვები ნაცნობ ბილიკს, ვჩქარობ. მაინც ვამჩნევ ყოველ ბუჩქს, ყველა ლამაზ ყვავილს. ვჩქარობ კი, მაგრამ სული უფრო წინ მისწრებს.

აი, გამოჩნდა...

ჯერ ტუია. მერე პატარა ვერცხლისფერი ჭიშკარი. თითქოს მე-ლოდა..

ხელის მსუბუქ შეხებაზე გაიღო, შიგნით შემიწვია.

„მოხვედი შვილო?

„ჰო დედა„ ჰო, მამა, მოვედი და აი მოგიტანეთ, ჩემი წიგნი“.

„გენაცვალოს დედა“.

ჩავიმუხლე. ფრთხილად დავდე დედის საფლავზე საღებავშეუმ-შრალი წიგნი. წიგნმა ია შეარხია.

რაღაცამ ცრემლივით გაიციმციმა.

ცვარი შერჩენოდა მიწაზე გართხმულ იის ფოთოლს.

ჩამუხლულს მარცხენა ხელი დედის გულზე მიდევს, მარჯვენა მამის საფლავზე. თბილი, ხაოიანი მიწა ნაზად მეფერება ხელზე, თითქოს თბილად სუნთქავს. გულამდე მიდის ეს სუნთქვა და ირ-გვლივ სალტესავით ეკვრის.

აბრეშუმის აკაციის ტოტზე ჩიტბატონა ჩამოჯდა. ტოტი დაირწა.

„ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ“ — ჟღურტულებს ჩიტი, რაღაცას დაჟინებით მიმეორებს.

რას?

მე კი ვიცი, რას, მაგრამ გამხელა არ შემიძლია.

მზეს სითბო ემატება. თუ სხვა რამ სითბოა გულში რომ შეღვრე-ბა? ნეტარ სიჩუმეში მარტო ვართ ცრემლნაპკურები ია, ის ჩიტი აკაციის ტოტზე, მე, დედა და მამა.

მთელი სამყარო ჩემშია. ტკბილი ტკივილი და მწარე სიხარული. ამ წუთებში სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის საზღვარი იშლება და ახლა არ მაშინებს ეს წაშლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელენე საყვარელიძე — 60



მხატვარი ნათელა იანქოშვილი

მას ახლახან დაბადების 60 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 40 წლის აღსანიშნავი საღამო გაუმართეს. რედაქციაში ხშირად შემოდის, შემოვა და რაღაც ნათელს შემოიტანს, ახალგაზრდულ ხალისს მოჰფენს აქაურობას.

ასამდე მხატვრული სახე შეუქმნია ელენე საყვარელიძეს ჯერ სოხუმის, შემდეგ კი რუსთაველის სახელობის თეატრების სცენაზე, ასამდე ქალის ტკივილი განუცდია, სიხარული უტარებია, მათი ინტერესებით უცოცხლია. ელენეს უყვარს ის ქალები, თანაუგრძნობს მათ, სჯერა მათი ზნეობა, სიკეთე, ცოდნა და გულმოდგინება, რადგან ასეთია თვითონაც: თავისი გმირებისაგან სიკეთის შეთვისებასა და უარყოფითისაგან განდგომას გვასწავლის.

ასეთივეა ელენე — ჟურნალისტის მრწამსიც. ის აკრიტიკებს ჩვენი ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს, მათდამი გულგრილად განწყობილ ადამიანებს: „იქნებ, გულგრილობის ფიფქებით თანდათანობით ბოროტების გუნდა ავაგორეთ, ზვავად ვაქციეთ და ახლა წალეკვით გვემუქრებაო“, — აცხადებს, ავტორი გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაწერილ ფელეტონებში: „უხეირო ხეირი“ და „წვანან და ელიან“; იგი გმობს უქნარების ხელში გაუკულმართებულ სიკეთისმქმნელ ადათებს, გამომძალველთა სულიერ დაკნინებას... საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ელენე საყვარელიძე მრავალი თეატრალური რეცენზიისა და მსახიობთა პორტრეტების ავტორიც არის. ეწევა სასარგებლო საზოგადოებრივ მოღვაწეობას, არის უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საკავშირო გამგეობის წევრი და ამავე საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე. ხშირად, როგორც საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, საწარმოებში კითხულობს ლექციებს. მას ყველგან ინტერესით ელიან, რადგან ავტორიტეტი მოიპოვა როგორც მცოდნე, მიუკერძოებელმა და ხატოვნად მოსაუბრემ. ასეთად იცნობენ ელენეს მოსკოვის „მეგობრობის სახლშიც“, სადაც ბევრ საზოგადოებრივ ღონისძიებაში მონაწილეობს. მსახიობი ქალი რამდენჯერმე გაემგზავრა საზღვარგარეთ, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობისათვის. ჩვენი ჟურნალი მას სულ რამდენიმე ხნის წინათ ულოცავდა უნგრეთის რესპუბლიკის „ოქროს გვირგვინით“ დაჯილდოვებას.

ელენეს მრავალი მეგობარი ჰყავს. მათ შორის არის საბჭოთა კავშირის გმირი, კოსმონავტი ვალერი კუბასოვი, რომელთან ერთადაც ელენე უნგრეთში იმყოფებოდა. სახელოვანმა კოსმონავტმა ლექსიც კი მიუძღვნა ელენეს და ლენინგრადის გაზეთ „ლენინსკიე ისკრის“ მთავარ რედაქტორს ლუდმილა ანიშჩენკოს:

მშვენიერი იყო, მშვენიერი იყო,
ლენა და ლუდმილა რაკი ჩვენთან იყო.
ჩანს, მე ვარსკვლავებში ბედი მქონებია,
ორთავ მოციმციმე ქალბატონებია...

ვულოცავთ ელენე საყვარელიძეს ასე სასიკეთო გზებით განვლილ ხანს, იყოს ჯანმრთელად, რათა კიდევ გაისარჯოს ერისა და ხალხის სამსახურში!

# ფონიატრიული კერის მედროშე



30 წელია, რაც ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ნაყოფიერად იღვწის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი ფონიატრი გულიკო ჭარხალაშვილი. შინაარსიანი და სასარგებლოა მისი მოღვაწეობა. ბევრმა არც იცის, რომ ხმა, დამატკბობელი ჰანგები თუ საუბრის ხელოვნება, ყელის ორ წვრილსა და მოკლე სიმზეა დამოკიდებული. ესაა ყელში მოთავსებული განძი. მაგრამ, რა ძნელია, როდესაც მოულოდნელად ეს განძი გიმტყუნებს და, რაღაც მიზეზის გამო, ხმა გეხლიჩებათ, უფერულდება, ზოგჯერ სავსებით იკარგება. მიზეზი ამისა კი მრავალნაირია. ქალბატონი გულნარა აუცილებლად მოუხმობს მთელ თავის გამოცდილებას, უთუოდ მიაგნებს მიზეზს და გახსნის სათუთი ყელის საიდუმლოს.

მუსიკა და სიმღერა მისთვის თანდაყოლილი ნიჭია. წარჩინებით სწავლობდა კონსერვატორიაში. ულამაზესი და უტკბესი ლირიული სოპრანოს მფლობელს დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ, მოულოდნელად, სახმო სიმები დაუავადდა. დრო გადიოდა, იმედი არ ჩანდა. მაშინ გულიკომ გადაწყვიტა თვითონ ჩასწვდომოდა ყელის მკურნალობის უფაქიზეს დარგს, რათა სასარგებლო ყოფილიყო სხვებისათვის. სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ კი ოპერის თეატრს მიაშურა და ფონიატრიის კაბინეტი ჩამოაყალიბა. თვითონაც დღემდე მუშაობს კაბინეტის გამგედ, დღემდე ითვლება მაღალკვალიფიციურ მკურნალად. აქვს გამოქვეყნებული 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, არის სამი სამეცნიერო საბჭოს წევრი, ხოლო მისი ნაშრომი „ფონიატრიის საკითხები" პროფესორ ვ. ხმალაძის მიერ ასეა შეფასებული: „გულიკო ჭარხალაშვილის ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც ფონიატრიის ყველა საკითხს მოიცავს, ქართული ფონიატრული ლიტერატურის ჩამოყალიბების და დაბადების ცდად უნდა ჩაითვალოს. ავტორს გააჩნია დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევის უნარი, რაშიც ეხმარება საერთო თეორიული ერუდიცია, შერწყმული დიდ პრაქტიკასთან". (გაზეთი „კომუნისტი" 1973 წ.) ასევე მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია მეორე მონოგრაფიაც „მომღერლის ხმის ჰიგიენა". ეს წიგნი სამაგიდოა ყველასთვის, ვინც საკუთარ ხმას აფასებს და უფრთხილდება... ამიტომ ბოლო არ უჩანს თბილისისა, თუ გასტროლებზე ჩამოსული სხვა ოპერების თეატრის დირექციიდან გამოცხადებულ მადლობებს. ხოლო საქვეყნოდ სახელგანთქმულმა მადლიერმა მომღერლებმა ქალბატონ გულიკოს „საუნჯე" შეარქვეს, ზოგმაც „კეთილ ფერიად" მონათლა იგი. მათი სამახსოვრო წერილები და ფოტოსურათები გულიკოსათვის რელიქვიებად ქცეულან. და ფაქიზად აკინძული, რამდენიმე სქელტანიანი ალბომი მნახველს სულიერად ატკბობს.

ამაზე დიდი ბედნიერება რა არის: უყვარდე მრავალს, უცნობსა და ნაცნობს. ქალბატონ გულიკოს მაგიდაზე აღარ ეტევა სურათები, ბარათები, მადლობები, გაზეთებიდან ამონაჭერი სტატიები. მათი შინაარსი ერთიმეორეს ემთხვევა. აი, რას სწერენ მასზე: „ექიმი ფონიატრი! — რაოდენ უცხოდ ჟღერდა შენს გამოჩენამდე ჩვენში! ვინ იცის, გარდასულ დროთა რამდენ მომღერალს უჭირდა შენი თავი, შენი ცოდნა და გამოცდილება! კარგია, რომ ახლა მაინც შეივსო ეს დანაკლისი და შეივსო საფუძვლიანად. ჩემო გულიკო, შენი სახით ჩვენს ქვეყანას ჰყავს ადამიანი ყელის უნაზესი და უფაქიზესი აპარატის — ხმის გამომცემი სიმების სატკივართა საიმედო მკურნალი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი როდამ ნიკოს ასული ქუმსიაშვილი".

ეს კი მომღერალ ნუცა მიქელაძის სიტყვებია: „მხოლოდ შემოქმედებითად დაჯილდოვებულ ადამიანს შეუძლია აიყვანოს თავისი სამკურნალო ხელოვნება ისეთ სიმაღლეზე, როგორც შენ აიყვანე, ჩემო გულიკო. ჯანმრთელობის... ::ვადმყოფობის არ მეშინია, თუ მას ისეთი ჯ::დოქარი სდარაჯობს, როგორიც შენ ხარ ჩემო ძვირფასო".

„გულიკო, ჩემო უაღრესად გონიერო, დარბაისელო, კეთილშობილო და ხალხის სამსახურს შეწირულო ქალბატონო". პროფესორი თამარ დეკანოსიძე.

„შენ ის ადამიანი ხარ, რომელმაც ყოველნაირი სიკეთე საქმით და [illegible] საქმით დაიმსახურე, რისთვისაც მდაბლად გიხრი თავს და გეამბორები ხელზე. შენი მუდმივი თაყვანისმცემელი, მოყვარული მოვალე ეროსი მანჯგალაძე".

საზღვარგარეთის პოპულარულ მომღერალს იმა სუმაკს თავის წარმტაც ფოტოზე მიუწერია: „მთელი სიყვარულით და მადლობის გრძნობით საყვარელ ექიმს ქ. გულიკოს".

„ძველი მომღერლისაგან საყვარელ გულიკოს, რომელიც ბევრჯერ გავაწვალე" სსრკ სახალხო არტისტი პიროგოვი.

ცნობილმა ჩეხმა მომღერალმა სლავკა პროხასკოვამ სამშობლოდან მადლიერების ნობათი გამოუგზავნა ასეთი წარწერით: „პრიმა ექიმს, რომელმაც ნამდვილი სასწაული მოახდინა. სახმო აპარატით დაავადებულს შემაძლებინა სპექტაკლი ბოლომდე მემღერა..."

და კიდევ რამდენი საბჭოეთის თუ საზღვარგარეთის გამოჩენილი მომღერალი წერს გულიკო ექიმს მადლიერებით, სიყვარულით „ჩვენს გადამრჩენელს", „ჩვენს იმედს", „კეთილ ფერიას", ეს წარწერები ეკუთვნის მარგარიტა აგულიელმის, მარიე ბიეშუს, ალფრედ სადელს, ვერა დავიდოვას, ირინა არხიპოვას, დიმიტრი უზუნოვს, ნიკოლაი ჰერლიას, ჯერომ ჰაიმსს, იოსებ შიმანტს, ლარისა ნიკიტინას და სხვებს.

გულიკო ჭარხალაშვილის, როგორც მკვლევარის ჩამოყალიბების საქმეში, გარკვეული წვლილი მიუძღვით ისეთ აღიარებულ მეცნიერებს, როგორებიც არიან ს. ხეჩინაშვილი, ი. პოტაპოვი, მ. გრაჩოვა.

მის პროფესიულ ოსტატობას ისიც ამაგრებს, რომ თვითონ ბრძანდება მომღერალი. რამდენიმე წლის სიჩუმის შემდეგ გულიკოს მომხიბლავი და ლამაზი ხმა ისევ აჟღერდა და მანაც, როგორც მომღერალმა არაერთხელ მიანიჭა ქართველ საზოგადოებას დიდი სიამოვნება, მისთვის საგანგებოდ მოწყობილ შეხვედრებზე.

საინტერესოა, რომ ქალბატონ გულიკოს ოჯახს გაზეთ „თბილისის" ფურცლებიდანაც გავეცანით: დედა — საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი თამარ ბედიაშვილი, მამა — ესტატე — საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი. ჭარხალაშვილების მოქალაქეობრივი შეგნება და საზოგადოებრივი ღვაწლი თბილისისათვის კარგადაა ცნობილი. თამარმა და ესტატემ საკუთარი სამი ქალიშვილი ღირსეულად აღზარდა, და სხვის შვილებსაც გულშემატკივრებად მოევლინენ: საკუთარი ორსართულიანი, დიდი ფართის მქონე სახლი საბავშვო ბაღს გადასცეს, რისთვისაც საყოველთაო მადლობა დაიმსახურეს

გვინდა ეს წერილი ექიმ ლამარა მურუსიძის სიტყვებით დავამთავროთ! „ჩემო გულიკო... აფერუმ შენ ქალობას, მაგრამ შენი გულიდან აფრენილ ბარტყებს რომ არ ზრდი, ამაზე მაკლია გულს. იქნებ, ასეთ ფაქიზსა და სათუთს მიწიერი არაფერი გეკადრება".

დამანა მდივნიშვილი



ნანი



მონანიება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ილუსტრაცია სულხან-საბას იგავისათვის

გოგი და წითელი თევზი





ილუსტრაცია „შუშანიკის წამებისათვის“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლორეტა შენგელია — აბაშიძე



ლორეტა შენგელია—აბაშიძე თანამედროვე ქართველ გრაფიკოსთა შორის ერთ-ერთი გამოჩენილი და საინტერესო მხატვართაგანია.

ქართული გრაფიკა დღეს სახვითი ხელოვნების ის დარგია, რომელმაც საბჭოურ ხანაში განვითარების უკვე რამდენიმე საფეხური გამოიარა. 70-იანი წლებისთვის მას მხატვართა ძლიერი ნაკადი შეემატა თავისი ამოცანებითა და ახალი მხატვრული მიდგომით. მხატვრები არ იზღუდავენ თავს ხილული სამყაროს ერთეული მოვლენის, ან საგნის ასახვით და განზოგადებული აზრის შემცველი ნაწარმოების შექმნას ცდილობენ, გაბედულად მიმართავენ მეტაფორასა და ქარაგმულ თქმას. გამდიდრდა გრაფიკის ტექნიკაც. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლითოგრაფიისა და გრავიურის სხვადასხვა სახეობის განვითარება და, შესაბამისად, ამ დარგებისათვის სპეციფიკური გამოსახვის საშუალებათა დაუფლება. მათი სტილისტური მიმართულება ერთიანია, მაგრამ ამ მხატვრებს განასხვავებს თითოეულის მკაფიო ინდივიდუალური ხასიათი და ხელწერა. საკუთარი მანერითა და ამოცანების თავისებური გადაწყვეტის უნარით გამოირჩევა ლორეტა შენგელია—აბაშიძეც.

მხატვარმა 1967 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ აქვე გაიარა ასპირანტურის კურსი. მისი, როგორც შემოქმედის ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სერგო ქობულაძისა და ლადო გრიგოლიას ხელმძღვანელობასა და რჩევა-დარიგებას. ამჟამად მხატვარი შემოქმედებითს მუშაობას სამხატვრო აკადემიაში პედაგოგიურ მოღვაწეობას უთავსებს და თავის გამოცდილებას უზიარებს სტუდენტებს.

1966 წლიდან მხატვარი სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში. წარმატება ხვდა წილად მისი ნამუშევრების გამოფენებს საზღვარგარეთაც (იუგოსლავია, პორტუგალია, კუნძული კვიპროსი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

ლ. შენგელია—აბაშიძეს შესრულებული აქვს სხვადასხვა ჟანრის მრავალრიცხოვანი დაზგური ნამუშევრები: პეიზაჟები, პორტრეტები, გრაფიკული სერიები, რომლებსაც მარტო მოგზაურობის დროს შესრულებული ნახატები კი არ უდევს საფუძვლად არამედ ნანახის ძლიერი განცდა.

მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისით განსაკუთრებით მრავალფეროვანია მისი პორტრეტები. მხატვარს უყვარს ახლობლების, კარგად შესწავლილი მოდელების ხატვა, ან ისეთი პიროვნებებისა, ვინც ხასიათის სიმკვეთრით იზიდავს მას. საინტერესოა, რომ მისი ნამუშევრები მარტო მოდელის თვისებებს კი არ ავლენს, არამედ მხატვრის მათდამი დამოკიდებულებასაც.

ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს ლორეტა შენგელია წიგნის ილუსტრაციაზეც. მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში შეასრულა ავტოლითოგრაფიების სერია შექსპირის ტრაგედია „რიჩარდ III"-ისათვის, რომელიც შექსპირის ქართული გამოცემის პირველ ტომს დაერთო; შემდეგ დაასურათა სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოები „სიბრძნე სიცრუისა" (გუაში, 1970) და იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება" (შერეული ტექნიკა, 1974), შეასრულა ოტია იოსელიანის მოთხრობების ილუსტრაციები (ავტოლითოგრფია, 1973), ნახატები ლადო ასათიანის ლექსებისათვის (გუაში, 1977), პოლონელი მწერლის იაროსლავ ივაშკევიჩის მოთხრობების ილუსტრაციები (ოფორტი 1978); შემდეგ ისევ დაუბრუნდა შექსპირს და ამჯერად შეასრულა სერია „ოტელო" (აქვატინტა, 1980). ნამუშევართა ეს არასრული ჩამოთვლაც კი მათს თემატიკურ მრავალფეროვნებას ცხადჰყოფს. ნაწარმოების სტილის უტყუარი გრძნობა მხატვარს კარნახობს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა გამოსახვის საშუალება და ტექნიკა, თავისებური გრაფიკული „გასაღები" გამოძებნოს. მისი კომპოზიციები ლაღად და მტკიცედ არის აგებული, ხაზი ზუსტი და მეტყველია, შტრიხი — ფაქიზი. ის ხშირად მიმართავს ფორმების დაპირისპირებას, შეაქვს ნახატში გარკვეული ასოციაციების აღმძვრელი დეტალები, რომლებიც ზოგჯერ სიმბოლურია. მისი კომპოზიციებით ვლინდება მხატვრის ემოციურობა და ფანტაზია, რომელიც თანაარსებობს ნათელ აზროვნებასთან. ხოლო გამომგონებლობა და ამოცანის გართულების სიღრმისეული აღქმა შრომისუნარიანობას ერწყმის. მისი ნაწარმოების ცალკეული ელემენტები მთავარი აზრის გადმოცემას ემორჩილება: ილუსტრირებისას — ლიტერატურული ნაწარმოების დედაარსის გამოხატვას, დაზგურ ფურცლებში — იმ მთავარი თვისების ხაზგასმას, რომელიც მხატვარმა ნატურით დაინახა. მაშინაც, როცა ლორეტა შენგელია ყველაზე უფრო ზოგად ნამუშევრებს ჰქმნის, იგი რეალურის განცდასა და გააზრებას ემყარება და ალბათ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მათი გამომხატველობა იზიდავს და აღელვებს მაყურებელს.

მერი კარბელაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნახირი მიდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სძლიე თავსა შენსა!

# პატივმოყვარეობა

ადამიანი, როგორც ბუნების განვითარების უმაღლესი ქმნილება, სრულყოფისაკენ მიისწრაფის. შექება კი იმის დასტურია, რომ მისი ძალღონე უკვალოდ არ დაკარგულა, ნაყოფი გამოიღო. ამით უნდა აიხსნას ის სასიამოვნო ემოციები, რომლებიც თან ახლავს აღიარების ფაქტს. მონათა ბელადი სპარტაკი, ფიზიკურად და სულიერად ძალოვანი ვაჟკაცი, სიხარულის ცრემლებს აფრქვევდა, როცა მონათა არმია მას აღიარებდა.

ზნეობრივი ადამიანისათვის ქება-დიდება თვითმიზანი კი არ არის, არამედ მძლავრი სტიმულია სოციალური აქტივობისათვის. აღიარება განამტკიცებს საკუთარი თავისადმი რწმენას, ხელს უწყობს ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ძალების მობილიზებას, ნიჭისა და უნარის განვითარებას, პიროვნების თვითგამოსახულებას. შემოქმედი ადამიანის სიცოცხლე შეიძლება შევადაროთ უფსკრულის პირას დგომას, არა იმიტომ, რომ შემოქმედება დიდ სატანჯველთან არის დაკავშირებული, არამედ იმიტომაც, რომ შემოქმედი ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება გამოვყოთ მომენტები: სკეპტიციზმი, უიმედობა და ზოგჯერ სასოწარკვეთა. კონსტანტინე გამსახურდია შემოქმედებას უღრან ტყეში სვლას ადარებდა—უღრან ტყეში მავალ ადამიანს, გამარჯობას რომ შესძახებ ესეც დიდი ბედნიერებააო.

ნორმალური ფსიქიკის მქონე პიროვნება, რომელსაც შემოქმედებითი გამოცდილება აქვს, მისი მოღვაწეობის უმართებულო შეფასება: გაუფასურება, უგულებელყოფა ან დამცირება, ნერვული რეაქცია, წყენას მოსდევს, არა იმიტომ, რომ იგი არ შეაქეს, არამედ რატომ უნდა იყოს უსამართლობის ფაქტორი — უმადურობა და, რაც მთავარია, ის ხომ საზოგადოების საკეთილდღეოდ იღვწის, აღიარება კი იმის პირობაა, რომ საზოგადოების გულისყური მივაპყროთ მის ნაღვაწს, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ინტერესებისათვის. ადამიანს აქვს სოციალური მოთხოვნილება— კრიტიკულად შეაფასონ მისი მოღვაწეობა. „გონიერსა მწვრთნელი უყვარსო" და ადამიანი უნდა იყოს არანორმალური ფსიქიკის მქონე ან პატივმოყვარე, რომ არ სურდეს სამართლიანი შენიშვნების და სწორი მითითებების მიღება. გოეთეს მართებული თქმით, „ვაფასებთ რა ადამიანებს ისე, როგორც მათ შეეძლოთ ყოფილიყვნენ, ჩვენ ხელს ვუწყობთ მათ გახდნენ უკეთესები".

პატივმოყვარეობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ადამიანი ზედმეტად გატაცებულია აღიარების, შექების სურვილით.

პატივმოყვარე ადამიანი ცდილობს ყველაზე საჩინო იყოს, გაუსწროს, აღემატოს, დაჩრდილოს სხვები. მისთვის მთავარია არა საზოგადოებრივი კეთილდღეობა, არამედ სახელი, დიდება, აღიარება. პატივმოყვარეობის ვნება, საკუთარი პერსონის წარმოჩენის დაუოკებელი წყურვილი იმდენად აბრმავებს ადამიანს, რომ ის არ ერიდება ამ მიზნისათვის გამოიყენოს მორალურად გაუმართლებელი საშუალებები. კანტმა შემთხვევით არ განასხვავა ერთმანეთისაგან პატივმოყვარეობისა და თავმოყვარეობის ცნებები. „პატივმოყვარეობა ისე შორს არის თავმოყვარეობისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან". თავმოყვარე ადამიანისათვის მთავარია ნამდვილი ღირსეულობა, პატივმოყვარე ადამიანისათვის კი მოჩვენებითი კეთილდღეობა. თავმოყვარე ადამიანისათვის მთავარია ადამიანის სიყვარული, პატივმოყვარე ადამიანი კი ადამიანის სიყვარულის ნაცვლად თავისი ინტერესების ცენტრში საკუთარ ეგოისტურ „მე"-ს აყენებს.

აღიარებისადმი, ქებისადმი ზედმეტი მგრძნობიარობა, გატაცება, წარმატების გარეგანი სიმბოლოები კლავს თანაგანცდის უნარს, ზღუდავს საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის შინაგანი სულიერი ძალების გამოყენების შესაძლებლობას, ნიჭისა და უნარის განვითარებას.

ისინი, ვისაც ჰიპერტროფიული წარმოდგენები აქვს საკუთარ თავზე, — ამპარტავნობით, მკრეხელობით, გულზვიადობით, ტრაბახით, პატივმოყვარეობით და ამბიციით უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ სხვებზე, მათი სურვილია იყვნენ ყურადღების ცენტრში. ისინი ეწინააღმდეგებიან ხალხის დემოკრატიულ სულისკვეთებას, რასაც პიროვნებათა შორის დაძაბულობა, კონფლიქტები მოსდევს.

ის, ვისაც სახელი და დიდება თვითმიზნად გაუხდია, მოკლებულია შინაგან ღირსებას.

კ. უშინსკი წერდა: „თუ ადამიანი მოინდომებს, მიიღოს უფრო უხვი დაფასება თავისი კეთილშობილი ღვაწლის გამო, ჩააქრობს ეს მომხიბლავი ნაპერწკალი, ის მხოლოდ დაუყოვნებლივ კი არ იწყებს ქრობას, არამედ ჩაქრება და მის გულს აღავსებს მყრალი პატივმოყვარეობითა და უხამსი თვითკმაყოფილებით".

პატივმოყვარეობითი ანგარება ღრღნის ადამიანის სულს, აფორიაქებს მას, იწვევს ნერვულ გაღიზიანებას, ფსიქიკურ არასიმყარეს და აძლიერებს შურს, ბოროტ სიხარულს და სხვა მრავალს.

მ. ჯავახიშვილი ამბობდა: „ჩვენ მეტისმეტად შევეჩვიეთ რეკლამას, ჟრიამულსა და საკუთარი თავის განდიდებას. თითქმის ყველას ზარი გვიკიდია, უკან კი მთელი ამალა მოგვდევს ბუკითა და ნაღარით. ზოგის ამპარტავნობა, ცუდმედიდობა და ფუქსავატობა უდიდეს სიავეს გვიქადის და ლამის მოარული სენივით თავს მოგვედოს".

სინდისიერი ადამიანი არ იკადრებს პიროვნების ღირსების შემბღალავ ქცევას. საბჭოთა ქირურგის, ნიკოლოზ ამოსოვის მოთხრობაში („ფიქრები და გული"), აღწერილია ქირურგის განცდები ოპერაციის დროს და ოპერაციის შემდეგ. ექიმის მიზანია გადაარჩინოს ადამიანის სიცოცხლე. მაგრამ მაშინ, როდესაც წარმატება თითქმის მიღწეულია, მის გულში იღვიძებს პატივმოყვარეობა: „უნდა ვაჯობოთ ყველას, ამერიკელებსაც კი. საჭიროა სასწრაფოდ დავბეჭდოთ ჟურნალში სტატია და ვუჩვენოთ ავადმყოფი საზოგადოებას. ტაში და ოვაციები... „მე მერიდება". აქ ვლინდება სუბიექტის ძლიერება, არ დაემონოს ისეთ ქვენაგრძნობას, როგორიც პატივმოყვარეობაა.

პატივმოყვარეობის მანკიერებისაგან განთავისუფლება შესაძლებელია სოციალური ორგანიზმის ცალკეულ რგოლებში სოციალისტური დემოკრატიისა და სამართლიანობის პრინციპის განვითარებითა და დამკვიდრებით. ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების თვითაღზრდას. ადამიანს უნდა შეეძლოს ჩანასახშივე აღკვეთოს ქვენაგრძნობები; პატივმოყვარეობა, შური და სხვ.

ამ მიმართულებით უაღრესად მნიშვნელოვანია ეთიკური განათლება.

ლილი ჩინჩალაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუსიკოსის ბავშვობა



თერთმეტი თვისა ძლივს იქნებოდა მარინე როდესაც ახლობლებისათვის სრულიად მოულოდნელად არაჩვეულებრივი სმენა და რიტმი გამოამჟღავნა. ეს ამბავი ერთ ჩვეულებრივ დღეს მოხდა, როდესაც ბავშვი იატაკზე გაშლილ ფარდაგზე იჯდა და თავისთვის თამაშობდა. მარინეს მამამ, საქართველოს სახალხო არტისტმა, ვიოლინო დაუკრა, ბავშვს ცეკვა „ქართულის" მუსიკა მოასმენინა. პატარა მარინე მაშინვე ატოკდა ბავშვის რეაგირება, მარინე არ ტყუვდებოდა ტით, მთელი ტანით აჰყვა „ქართულის" რიტმს. მისი მამა, საგანგებოდ, — ხან ანელებდა და ხან აჩქარებდა ტემპს, რომ გაეგო ბავშვის რეაგირება მარინე არ ტყუვდებოდა და მუსიკას ზუსტად აყოლებდა თავისი ტანის მოძრაობას. უნდა გენახათ მშობლებისა და ახლობლების სიცილ-ხარხარი ასეთი აღმოჩენის გამო!

პატარა მარინეს ესმოდა, დედა რომ ფორტეპიანოს უკრავდა, — თანხლებას (აკომპანიმენტს) „უკეთებდა" ოპერის მომღერლებს. სიამოვნებით ისმენდა მარინე სხვადასხვა ოპერების არიებს და კიდევაც მღეროდა თავის საყვარელ არიებს. ორწლინახევრის გოგონა ზუსტად ასრულებდა ვერდის ოპერა— „რიგოლეტოდან" ჰერცოგის ან „ტრავიატადან" ალფრედის არიას. ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან" მალხაზისა და მაროს დუეტს.

სამი წლის მარინე ლენინგრადში წაიყვანეს მშობლებმა, აქ ბავშვი სულ სხვა გარემოში მოხვდა, ძალაუნებურად ესწრებოდა როგორც კონსერვატორიის სტუდენტების აკადემიურ კონცერტებს, ისე ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციებს, სადაც მისი მამაც მონაწილეობდა. ბავშვს ძალიან მოსწონდა სიმფონიური მუსიკის კონცერტები და დიდი სიამოვნებითაც ისმენდა.

მარინეს ახსოვს ის სიხარული, ოთხი წლისა პირველად რომ გამოვიდა ჩვენი ოპერის სცენაზე როგორც საბავშვო ოლიმპიადის მონაწილე. ჯერ ი. გრიშაშვილის ლექსი „ნარგიზი" წაიკითხა, ხოლო შემდეგ რუსული „კაზაჩოკი" ჩაბუქნა ოპერის ორკესტრის თანხლებით. მარინემ, როგორც კონკურსში გამარჯვებულმა, ჟიურის თავმჯდომარის ევგენი მიქელაძის ხელით მიიღო უშველებელი თოჯინა და დილის წარმოდგენაზე მუდმივი საშვი.

გოგონა, პატარაობიდანვე, კარგად იცნობდა თითქმის ყველა ევროპულ საკრავებს. მისი არჩევანი სწორედ ვიოლინოზე შეჩერდა და მამამაც ექვსი წლისას დააწყებინა მეცადინეობა. მუსიკალურ ნიჭთან ერთად (სმენა, რითმი, მეხსიერება) ბავშვს გარეგნობაც უწყობდა ხელს. (კარგი ხელები, სათანადო ზომის ელასტიკური, ხორციანი თითები). მამამ კარგი რეჟიმი შეუქმნა და გოგონაც კარგად მიიწევდა წინ: ექვსი წლის მარინე უკვე მუსიკალური ათწლედის აკადემიურ კონცერტებზე გამოდიოდა, ხოლო ათი წლისა ორგანყოფილებიან კონცერტს მართავდა და, როგორც სოლისტი, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გამოდიოდა.

დიდი სამამულო ომის დროს, მარინე მონაწილეობდა როგორც ჯარის ნაწილებში, ისე ჰოსპიტლებში, მეომართა ოჯახების სასარგებლოდ გამართულ კონცერტებზე, რისთვისაც თორმეტი წლის მარინე დაჯილდოვდა მედლით — „კავკასიის დაცვისათვის". ამავე პერიოდში, მის ერთ-ერთ სოლო კონცერტს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა, დედაქალაქის მსმენელებთან ერთად, ომის დროს ევაკუირებული საბჭოთა კავშირის კულტურის წარმომადგენელნი, მუსიკოსები, მხატვრები და არტისტები ესწრებოდნენ. პირველივე განყოფილების შემდეგ მოხიბლული სტუმრები კულისებში შევიდნენ. ცისფერ კაბასა და ზედ წამოსხმული თეთრი ბეწვის პალტოთი იჯდა ჩაფიქრებული გოგონა. განუშორებელი ვიოლინოც ხელთ ეპყრა. საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს იგორ გრაბარს ძალიან მოეწონა მარინეს ეს სადა, ძალდაუტანებელი არტისტული პოზა და მაშინვე გამოთქვა სურვილი მისი დახატვისა. დიდმა მხატვარმა მართლაც დახატა მარინე. ახლა ეს სურათი საქართველოს ხელოვნების მუზეუმს ამშვენებს.

დღეს, ეს პატარა გოგონა, საქვეყნოდ ცნობილი ვიოლინოს დამკვრელი, საქართველოს სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსებისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი მარინე იაშვილია.

სანდრო ჟანჩელი

ეს ამბავი ნორიოს აღმართზე, კრუპსკაიას სახელობის ბიბლიოთეკის სარდაფში მოხდა, სადაც წინათ კლუბი იყო მოთავსებული. სიმებიან საკრავთა წრეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გრიგოლ ქსოვრელი ხელმძღვანელობდა, — გრიგოლ ქსოვრელი— ქართული დუდუკის დიდი მოამაგე და ვირტუოზული შემსრულებელი. გოგონა მოკრძალებით მივიდა მასთან და შეევედრა, თქვენთან მამღერეთო. უარმა არ გაჭრა. მალე წრეს სხვებიც შეემატნენ და ასე შეიქმნა გოგონათა ტრიო — ხალასი, მჩქეფარე. ახლა გრიგოლ ქსოვრელი და ცნობილი შემსრულებელი როზა ფარადაშვილი სიცილით იგონებენ თავიანთი პირველი შეხვედრის ამბავს... მას შემდეგ საკმაოდ დიდმა დრომ განვლო. ბევრი რამ შეიცვალა, გახალისდა, მაგრამ მუსიკა კვლავ მათი ცხოვრების აზრი და შინაარსია.

ქალბატონი როზა იხსენებს იმ პირველ შემოქმედებითს ცხოვრებას: სარდაფში გრიგოლ ქსოვრელმა მედუდუკეთა ანსამბლიც ჩამოაყალიბა. უკრავდნენ: მიხეილ ნარიმანაშვილი, რობერტ გალეგოვი და ვალიკო ჭრელაშვილი. ორთაჭალის ბაღების პირმშო და ყარაჩოხელების პოეტურ ქურაში გამობრძმედილი დუდუკი ამ ადამიანების შესრულებით მეტად თავისებური, კოლორიტული გახდა, ახლებურად აჟღერდა და როზა ფარადაშვილიც დუდუკს ამ ანსამბლში ეზიარა. (მანამდე გიტარასა და ფანდურს მეგობრობდა). წინათ, დუდუკის თანხლებით იშვიათად მღეროდნენ ქალები, რ. ფარადაშვილის არსებას კი მთლიანად ეპასუხებოდა სევდანარევი ჰანგები ტკბილი დუდუკისა.

დაიწყო ომი... გრიგოლ ქსოვრელი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. 15 წლის როზა ფარადაშვილი პირველი სამკერვალო ფაბრიკის ანსამბლში ამღერდა. ანსამბლს გიორგი ბუღაძე ხელმძღვანელობდა. საფაბრიკო კომიტეტი გულთბილად შეხვდა ქალიშვილს. „ფაბრიკამ დიდი ამაგი დამდო, რაც მთავარია, ობლობა არ მაგრძნობინეს. ჩვენი შვილობილიაო, ამბობდნენ და ხშირად მაჯილდოვებდნენ ტანსაცმლით, ფეხსაცმლით" — ამბობს როზა.

ამ ფაბრიკაში დაიწყო როზას შრომითი ბიოგრაფიაც. დღისით მუშაობდა, საღამოს სწავლობდა. ფრონტელი ძმებისთვის ტანსაცმელს კერავდა და აუდიტორიასაც სიმღერით ამხნევებდა. გატაცებით ასრულებდა სიმღერას შალამბერიძეზე და მსმენელებსაც ცრემლით ევსებოდათ თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დუდუკო, ჩემო თბილისმავ...“

1943 წელს გრ. ქსოვრელი ფრონტიდან დაჭრილი დაბრუნდა და... კვლავ ალუღუნდა დუდუკი. აღდგა კონცერტები. ფაბრიკის ანსამბლის წევრები სამხედრო ნაწილების ხშირი სტუმრები იყვნენ. აუდიტორია გულმხურვალედ ხვდებოდა ანსამბლს, აღტაცებით უსმენდნენ ფარადაშვილს. დაჭრილები სცენიდან არ უშვებდნენ და სიმღერის განმეორებას სთხოვდნენ. სწორედ იმ ხანებში დაჯილდოვდა მომღერალი მედლით: „შრომითი მამაცობისათვის“.

დიდი ამაგი დასდო მომღერალს გიორგი მარჯანიშვილმა. ავარჯიშებდა ვოკალში, ცდილობდა უკეთ აეთვისებინა სიმღერის ყოველი ნიუანსი. მისი ინიციატივით ახალგაზრდა მომღერალმა ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული გუნდის ხელმძღვანელის კურსებიც გაიარა.

შემდეგ შეხვედრა ცნობილ მომღერალ მარიამ არჯევანიშვილთან, მის ანსამბლში მიწვევა, დამეგობრება მელო ყარალაშვილთან, „კეკელა და მაროს“ პოპულარულ ანსამბლთან. გამოსვლები რესპუბლიკის ცენტრალურ კულტურის სახლში, აგიტმხატვრული ბრიგადები, მთელი კახეთი, ყიზლარის საძოვრები, შეხვედრები რაჯ კაპურთან და კინოფილმ „ბვარას“ სხვა მონაწილეებთან, (ქართულმა ანსამბლმა ხომ ხიდისთავში უმასპინძლა სტუმრებს.) გასტროლები მოსკოვში, ლენინგრადსა და დასავლეთ უკრაინაში.

მომღერალი სიამოვნებით იგონებს ნათელა ფოცხვერაშვილის სახელგანთქმულ ქალთა ანსამბლში მოღვაწეობას, ლამარა ნაკაშიძესთან ერთად სიმღერას, მშვენიერ დუეტს. როზა და ლამარა კარგახანს ამშვენებდნენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან შექმნილ აგიტმხატვრულ ბრიგადას (ხელმძღვანელი ქეთევან ღლონტი ღლობერიძე), სწორედ ქეთევანმა წაიყვანა როზა პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლში საკრავიერი ჯგუფის ხელმძღვანელად.

დუეტი — როზა ფარადაშვილი და ლამარა ნაკაშიძე ერთხანს კომპოზიტორ აკაკი ანდრიაშვილის საკრავიერ ანსამბლშიც ჩაირიცხნენ და გატაცებით ასრულებდნენ საგანგებოდ მათთვის დაწერილ „მუხამბაზს“ (დუდუკს უკრავდნენ ვალიკო ჭრელაშვილი, შოთა ეზიაშვილი, ვლადიმერ კონიაშვილი, მიხეილ ადამაშვილი. სალამურს — დიმიტრი ნანობაშვილი, აკორდეონს — ჰამლეტ მუშკუდიანი).

ყველამ იცის, რა ქუდბედიანი გამოდგა გრიგოლ ქსოვრელის ხელმძღვანელობით დაარსებული მედუდუკეთა ანსამბლი „სოინარი“. როზა ფარადაშვილი ამ ანსამბლში შეხვდა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ეთერ კაცობაშვილს და მასთან ერთად სასახელო შემოქმედებითი ცხოვრებით აღივსო. ისინი 1972 წელს წარმატებით მონაწილეობდნენ სახელმწიფო ფილარმონიის მიერ გამართულ „სოინარის“ შემოქმედებითს საღამოში. დარბაზში ტევა არ იყო, ფეხზე იდგა დუდუკის მრავალი მოყვარული. ანსამბლის პატივსაცემად და კონცერტში მონაწილეობისათვის მოვიდნენ ქართული სცენის ოსტატები, მართლაც დაუვიწყარი საღამო იყო!..

ტელეფილმმა დღემდე შემოგვინახა ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლის გურული სიმღერების ანსამბლი „მეგობრობა“ (ხელმძღვანელი კვიროსი ბერსენაძე). როზა, „სოინართან“ ერთად, მონაწილეობდა „მეგობრობაში“. 10 წლის განმავლობაში ანსამბლი წარმატებით გამოდიოდა. ამ საერთო წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი შეჰქონდათ გამოჩენილ მომღერლებს: ანანია ერქომაიშვილს, ცნობილ მოკრიმანჭულე ქალს ზინა ბერსენაძეს, დიმიტრი ჩავლეიშვილს, ქეთო ბერძენიშვილს, ქეთო ჩხეიძეს, ლამარა ჯულაყიძეს, ლამარა სუხიტაშვილსა და სხვებს. მათ ვნახულობდით ოლიმპიადებზე, ტელეეკრანზე. დიდი ტირაჟით გამოვიდა მათი ფირფიტები. განსაკუთრებული წარმატება ხვდა „გურულების ოთხ ნანას“, რომელშიც როზა კრიმანჭულს ასრულებდა.

ამჟამად როზა ფარადაშვილი გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულ მედუდუკეთა ანსამბლ „კავკასიონის“ სოლისტია. აქვე მეცადინეობს ომის ვეტერანთა სიმღერის ანსამბლი, რომელიც ვეტერანებისა და მათი შვილებისაგან შედგება (ხელმძღვანელი — ცნობილი მედუდუკე გივი გაგლოშვილი). „კავკასიონის“ პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი ტელეფილმმა: „დუდუკო, ჩემო . ტკბილო თბილისმავ“.

რას მღერის როზა ფარადაშვილი? როგორია მისი რეპერტუარი?

სათაყვანებელი სამშობლო, სათაყვანებელი დედა-თბილისი, მისით გატაცება, მისი სიყვარული. სიმღერათა ნაწილი საიათნოვასა და იეთიმ გურჯს ეკუთვნის. როზას ძალიან უყვარს ხალხური სიმღერა „როგორ არ ვიტირო“, რომელსაც წინათ შთაგონებით მღეროდა მისი მამა, ხელოსანი კაცი კირილე ფარადაშვილი.

ღუღუნებს დუდუკი, — მრავალჭირგამოვლილი, დღეის დღით გამთბარი და გალაღებული. მრავალი თბილისელი ეტრფის მას თავდავიწყებით. და როზა ფარადაშვილის ხმაც ეხმატკბილება ჩვენს გულებს, რწმენას, იმედსა და სიყვარულს.

**თამაზ ანთაძე**




ე. კაცობაშვილი და რ. ფარადაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



### გახსენება

# გულნარა ჯაფარიძე

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვართა კავშირის კრიტიკოსთა სექციის თავმჯდომარე, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მეცნიერული პროპაგანდის განყოფილების გამგე, სკკპ წევრი 1952 წლიდან, საქართველოს სსრ თბილისის კალინინის სახელობის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს XIV და XV მოწვევის დეპუტატი, მშრომელთა დეპუტატების კალინინის რაიონულ საბჭოსთან არსებული კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, — ასეთი იყო გ. ჯაფარიძის საზოგადოებრივ მოვალეობათა არასრული სია, რომელსაც იგი წარმატებით ართმევდა თავს.

ხელოვნების, მწერლობისა და პოეზიის უსაზღვროდ მოტრფიალე, გულდასმით იკვლევდა ქართული ხელოვნების პრობლემებს, თანამედროვე ქართველ მხატვართა შემოქმედებას. მის მონოგრაფიებში, — „თამარ აბაკელია", „კორნელი სანაძე", „იოსებ გაბაშვილი", „შეხვედრები ქართველ მხატვრებთან", „ვახტანგ ონიანი", — მოსჩანს ღრმა ცოდნა და დიდი სიყვარული ქართული ხელოვნების იმ ცნობილი მოღვაწეებისადმი, რომელთა შემოქმედებამაც თვალსაჩინო კვალი დააჩნია ქართული ხელოვნების განვითარებას.

ცალკე მონოგრაფია მიუძღვნა გ. ჯაფარიძემ საქართველოში ამ ბოლო წლებში აღორძინებულ ქართულ ჭედურ ხელოვნებას — „თანამედროვე ქართული ლითონმქანდაკებლობა" (1971), რომელშიც განიხილა საქართველოში სახვითი ხელოვნების ამ შესანიშნავი აღორძინების ცალკეული ეტაპები. მასვე ეკუთვნის ტერმინი „ლითონმქანდაკებლობა", რომელმაც საერთო აღიარება ჰპოვა ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში.

ქართველ მხატვართა ცხოვრება და შემოქმედება გ. ჯაფარიძის დაუცხრომელ ინტერესს იწვევდა. არაერთ საინტერესო მასალას მიაკვლია მან მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის თუ თბილისის ბიბლიოთეკებსა და არქივებში მუშაობის დროს. ამჟამად ეს მასალები საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი და საბჭოთა ხელოვნების განყოფილებაშია დაცული.

როგორც მხატვართა კავშირის კრიტიკოსთა სექციის თავმჯდომარე, გ. ჯაფარიძე ჩვენი რესპუბლიკის მხატვრული ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და იყო ქართველ მხატვართა რესპუბლიკური თუ პერსონალური გამოფენების დაუღალავი ორგანიზატორი, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

გულნარა თავად გახლდათ ამ გამოფენების მეცნიერული კატალოგების ავტორი. ლექციები და მოხსენებები, სტატიები პრესაში და რადიო-ტელევიზიით გადაცემული მასალები მეტყველებდნენ ავტორის ფართო ერუდიციაზე, გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიონალიზმით და საკითხების ღრმა მეცნიერული ცოდნით.

სათუთად უყვარდა გულიკოს თბილისი, მისი ხალხმრავალი ქუჩები და მოედნები წუხდა: შადრევნები, ვაზის ხეივნები და ვარდები აკლიაო თბილისს. ოცნებობდა ბაღნარად გადაქცეულიყო საყვარელი ქალაქი და, როგორც დეპუტატს, არაერთხელ დაუყენებია ეს საკითხი განსახილველად რაიკომის სხდომებზე. მის უკმაყოფილებას იწვევდა ხოლმე უგემოვნოდ, ულამაზოდ გაფორმებული ვიტრინები და თავს ვალდებულად სთვლიდა ამ საკითხის მოგვარებაზეც ეზრუნა. გულიკო იყო შესანიშნავი მოქალაქე, ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელიც თავისი ყოველდღიური შრომით გარშემომყოფთ და თანამშრომლებს საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითს აძლევდა და ამით მათ საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

თავმდაბალს და კდემამოსილს უსაზღვროდ უჭირდა ადამიანებისათვის შენიშვნის მიცემა, მაგრამ, როცა საქმე რაიმე პრინციპულს შეეხებოდა, აქ იგი ვაჟკაცურ შემართებას იჩენდა და არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა, რაც კარგიდ ახსოვთ, როგორც მხატვართა კავშირის კრიტიკოსთა სექციის წევრებს, ისე კულტურის სამინისტროსა და ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლებს.

ეს მომხიბლავი ქალი, არაჩვეულებრივად ნათელი პიროვნება, ჩვენი სასიქადულო პოეტის კარლო კალაძის ცხოვრების თანამგზავრი და მეგობარი გახლდათ, იყო მზრუნველი, მოყვარული დედა და ბებია. მისი სტუმართმოყვარე სახლი მუდამ სავსე იყო საინტერესო ადამიანებით: მხატვრებით, პოეტებით, მწერლებით, კრიტიკოსებით. აქ იმართებოდა საუბრები და კამათი ხელოვნებისა და ლიტერატურის საინტერესო საკითხებზე, ისმოდა მუსიკა და ყველაფერს აცისკროვნებდა ლამაზი დიასახლისის სათნო ღიმილი.

ამ სათნო ღიმილით გვიგდებდა ხოლმე ყურს, ან გვტუქსავდა თავის უმცროს მეგობრებს რაიმე დანაშაულისათვის. განსაკუთრებული გულისხმიერება, თანაგრძნობა და ქმედითი დახმარება ადამიანებისადმი გულიკოს ყველასათვის საყვარელ ადამიანად ხდიდა. მუდამ თავაზიანი, შინაგანი ტაქტით აღსავსე იგი დიდსა და პატარას ერთნაირი სითბოთი და სიყვრულით ეპყრობოდა და თვითონაც საპასუხო სიყვარულს ღებულობდა.

ახლა, როცა წლები გვაშორებს მას, განსაკუთრებული სიცხოველით წარმოგვიდგება მოხდენილი აღნაგობის თვალშუქიანი, ნათელღიმილიანი ქალი ასე უხვად რომ უნაწილებდა სითბოს და სიყვარულს მის გარშემომყოფთ.

ამ ლამაზმა ქალმა, მძიმედ დაავადებული ვაჟკაცურად რომ ებრძოდა უკურნებელ სენს, თავისი საყვარელი მეგობრებით გარშემორტყმულმა, მათი სიყვარულით და მზრუნველობით გულსავსემ სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, მათთან ერთად კიდევ ერთხელ დაიარა თბილისის შემოგარენი, იყო მცხეთის ჯვარზე და სვეტიცხოველში, კოჯორში და წყნეთში, ლისისა და კუს ტბებზე. მეგობრებთან ერთად კრეფდა იებისა და ყოჩივარდების კონებს, ღრმად სუნთქავდა, ცრემლებით სავსე თვალებით შესცქეროდა და ეთხოვებოდა საქართველოს ლურჯ ზეცას.

ყველამ, და მათ შორის მანაც კარგად იცოდა რა მოკლე იყო მანძილი სიკვდილამდე.

დღეს კი უკვე მისი მეუღლის, პოეტ კარლო კალაძის სიტყვებით შეგვიძლია გავიხსენოთ:

„მაღლობს მიჰყვები ნელ-ნელა ზევით,
და შავი კაბით მოშარიშურე,
ატყორცნილ ტანის ოდნავი რწევით
მომლანდებოდი, არ დაიშურე.

ნ. ლაშხი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# მათი პროფესია უხმაუროა



ხ. თვალავაძე-თუშიშვილი და ლ. გეფერიძე

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას მედიცინის ათასობით მუშაკი ემსახურება. დღეს აღარ გვიჭირს კვალიფიციური კადრი — ექიმი თუ მედდა, მაგრამ არის საქმიანობა, რომელიც გარეშე თვალისათვის შეუმჩნევლად, უხმაუროდ ერწყმის მკურნალობის პროცესს.

ბევრმა ავადმყოფმა ხომ არც იცის, თუ რა როლს ასრულებენ მისი განკურნებისათვის ბრძოლაში ლინზებით შეიარაღებული „მზვერავები" — დილიდან საღამომდე რომ სწავლობენ ადამიანის სისხლისა თუ შარდის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს, ეძებენ „მავნებლებს", და თუ არა ლაბორანტის დაკვირვებული თვალი და მონდომება, ექიმს გაუძნელდებოდა ზუსტი დიაგნოზის დასმა.

ერთ-ერთი ასეთი უხმაურო მუშაკია ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის რესპუბლიკური სამეცნიერო ცენტრის კლინიკა-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგე ხათუნა თვალავაძე, რომლის საერთო მუშაობის სტაჟი 45 წელიწადია, აქედან 38 წელი ის ლაბორანტად საქმიანობს.

ხათუნა თვალავაძემ 1941 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი. ჯერ არც კი ჩამცხრალიყო სახელმწიფო გამოცდების ციებ-ცხელება, ომი რომ დაიწყო. ახალგაზრდა ექიმი სამუშაოდ ხარაგაულში გაანაწილეს. იქ შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს, ექიმ დავით თუშიშვილს.

ცოლ-ქმარმა სამი წელიწადი ხარაგაულში გაატარა, შემდეგ ქუთაისის რაიონის სოფელ მექვენაში გადავიდნენ სამუშაოდ, ხოლო 1960 წლიდან — თბილისში.

— ჩემმა მეუღლემ მთხოვა კარგად შემესწავლა ლაბორანტის საქმიანობა, რომელიც საკმაოდ ვიცოდი, რადგან 1952 წლიდან ლაბორატორიაში ვმუშაობდი. ქმრის რჩევას მივყევი, კურსები დავამთავრე და დავითთან დავიწყე მუშაობა — გვიყვება პირველი კატეგორიის ლაბორანტი ხათუნა თვალავაძე, თუშიშვილი, მისი კოლეგა თ. ჭრიკაშვილი კი გარინდებული ჩაჰყურებს მიკროსკოპს, ეძებს, იყვანს სისხლის ფორმულებს.

— ხედავთ, რა ფერადებით არიან შემოსილნი? — ამბობს თეთნულდი და მიჩვენებს „ბრძოლის ველს" — ათასნაირი ბურთულებით მოფენილ საცდელი მინის ზედაპირს,— აი, ეს „მავნებლებია" შეუმჩნევლად რომ აღწევენ ორგანიზმში და აშფოთებენ ადამიანს.

— ვერ აგიწერთ, როგორ გვიხარია, როდესაც ახალ კვერცხებს აღმოვაჩენთ ხოლმე, — მეუბნება ხათუნა, — ეს იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფის დიაგნოზის დადგენაში ჩვენც შეგვაქვს წვლილი და სწორად დასმული დიაგნოზი კი, მოგეხსენებათ, ნახევრად განკურნებული პაციენტია. ამიტომ გვიხარია ამ ლამაზად შენიღბული „მავნებლების" აღმოჩენა. მეკითხებით, თუ ტრავმატოლოგიაში რა როლს ასრულებს ლაბორატორია? — ძალიან დიდს! საოპერაციოდ ვერ გაიყვან ადამიანს, თუ არ გაუკეთდა ყველა ანალიზი, განსაკუთრებით სისხლის რეზუსის დადგენაა საჭირო. სისხლის გადასხმის საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია ცოდნა, დადებითია რეზუსი თუ უარყოფითი.

... ასევე უხმაუროდ სხედან ლაბორატორიაში მიკროსკოპებთან ამალია ბულალოვა, ნუნუ კურტანიძე, ნინო ხითაროვა, ლაურა გეფერიძე, მერი ჩარკვიანი, ლეილა ნემსიწვერიძე თუ ციალა არჩვაძე და ეძებენ „ლამაზ" სხეულებს, რათა სწორი მიმართულება მისცენ ექიმს ავადმყოფის მკურნალობისას.

ხათუნა თვალავაძეს თავისი ოჯახური ცხოვრებაც კარგად აქვს აწყობილი. მზრუნველი დედა და ბებიაა. მისი ქალიშვილი მარინე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სპარსული ენის სპეციალისტია, სიძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, ვაჟი გურამი ტელეატელიეს დირექტორია მისი მეუღლე კი — ქიმიკოსი.

მარინეს და გურამს ორ-ორი შვილი ჰყავთ. ამრიგად, ხათუნას ოჯახს ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი უხარებს გულს. ეს არცთუ ისე ბევრია, მაგრამ იმედია მათი შვილთაშვილები მომრავლდებიან და კიდევ მეტად გააძლიერებენ და ასახელებენ ქართული ოჯახის ფუძეს და ალბათ ერთ-ერთი მაინც აირჩევს და გაჰყვება ხათუნას არჩეულ გზას, რათა მასავით უხმაუროდ და გულმხურვალედ აკეთოს ერთი შეხედვით უჩინარი, მაგრამ დიდი საქმე.

დოდო ზურაბიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტ შავლაყაძე,
რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

# კვლავ სიარულის შესახებ

ყველა ადამიანს თავისი მიზანი და მოწოდება აქვს, მაგრამ ასეც ხდება, როცა შერყეული ჯანმრთელობა ერთი ხელის მოსმით აგვირევს გეგმებს: გვეუფლება შეშფოთება, ექიმთან სირბილს და წამლების ძებნას ვუნდებით. არადა, თითქოს პარადოქსია, მაგრამ, ყველას გვინდა ჯანმრთელები ვიყოთ, საბოლოოდ კი საკუთარი ჯანმრთელობის მტერი ისევ ჩვენვე გამოვდივართ...

ადამიანი ბუნების შვილია. მისი სასიცოცხლო ძალების ხანგრძლივად შენარჩუნებას მარტო კვება ვერ შველის. ბევრმა — ადამიანის ყველაზე ბუნებრივი მდგომარეობა — ფეხით სიარულიც კი დაივიწყა. მთელი მისი „მარშრუტი“ ტრანსპორტით სამსახურში მისვლა-მოსვლით ამოიწურება. თუ საკუთარი მანქანაც ჰყავს, მაშინ ხომ ფეხით ორ ნაბიჯსაც არ გადადგამს. უმოძრაობას მოსდევს ცხიმის სიჭარბე, ამას ზედ ერთვის ათასგვარი წვრილმანი თუ მსხვილმანი სამსახურებრივი და ცხოვრებისეული უსიამოვნებანი, თამბაქო, ალკოჰოლი და კაცი საავადმყოფოსა და პოლიკლინიკას ისე გაუშინაურდება, როგორც საკუთარ ოჯახს. ზოგიერთი ხსნას იმპორტულ, „სასწაულმოქმედ“ წამლებში ხედავს. მათ ავიწყდებათ, რომ წამალი დროებით თუ შველის საქმეს, საბოლოო განკურნება კი მაინც სამკურნალო ფიზკულტურას შეუძლია. მაგრამ გაჯანსაღების ეს ყველაზე ხელმისაწვდომი და ეფექტური საშუალებაც ისე უნდა „გამოვუწეროთ“ ავადმყოფს, როგორც ექიმი პაციენტს წამალს უნიშნავს ხოლმე.

გასათვალისწინებელია ავადმყოფის ფსიქოლოგიაც: ზოგს, მაგალითად ყველაზე უფრო ძუნძულით სირბილი უხდება; მაგრამ, რად გინდათ, სპორტული ფორმის ჩაცმასა და სხვის დასანახავად სირბილს, ყველაფერი ურჩევნია. ეს განსაკუთრებით ქალებს ეხებათ. ვერც ფეხით სიარულის სიკეთეს იყენებს ყველა ისე, როგორც საჭიროა. ექიმები გვირჩევენ, სუფთა ჰაერზე ბევრი იარეთო, მაგრამ ამასაც ხომ ცოდნა უნდა! თუ დატვირთვა გარკვეული სისტემის ფარგლებში არ არის მოქცეული და დოზირებული, სარგებლობის მაგიერ ზიანს მივიღებთ.

რაიმე დებულების სისწორეში ყველაზე უკეთ პირადი მაგალითით ვრწმუნდებით. ამიტომ საკუთარი გამოცდილების შესახებ მოგახსენებთ: მე ძველი სპორტსმენი გახლავართ, მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინათ საკუთარი ჯანმრთელობის უგულვებელყოფამ და სხვა გაუფრთხილებლობამ რამდენიმე სახის დაავადება „შემძინა“: წელიც ამტკივდა და გულმაც შემაწუხა. დილით ადგომა და ჩაცმა ნამდვილ სატანჯველად მექცა, რასაც ხშირად, დამოუკიდებლად ვერც ვახერხებდი. ცალკე უძილობა დამჩემდა. ვარჯიში კი მსურდა, მაგრამ რატომღაც ისე მოხდა, რომ სტადიონზე წასვლას დიდხანს თავი ვერ მოვაბი. ბედად, კენეტ კუპერის წიგნი „ახალი აერობიკა“ ჩამივარდა ხელში. წავიკითხე და თითქოს გონება გამინათდა. ამ წიგნმა დამანახა, რომ სავარჯიშოდ სულაც არ არის აუცილებელი ყოველდღე სტადიონზე სიარული, დავიწყე ვარჯიში იმ მეთოდით, რომელსაც ქვევით გაეცნობით. წინასწარ უნდა გითხრათ, რომ კუპერის შეგონებით ხელაღებით არ მისარგებლია. იდეა კი „ვისესხე“, მაგრამ ინსტიტუტში ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია კარგად მქონდა შესწავლილი (სხვათა შორის, ეს ცოდნა ძალიან დამეხმარა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში) და ვარჯიშის საკუთარი მეთოდი შევიმუშავე, იგი საკმაოდ მარტივია და როგორც თავად დარწმუნდებით, ეფექტურიც. ვერ ვიტყვი, საბოლოოდ გამოვჯანმრთელდი და ამიერიდან ფრჩხილიც აღარ წამომტკივდება-მეთქი, მაგრამ ნახევარი წლის ვარჯიშის შემდეგ ის ძველი ავადმყოფობა თითქმის აღარ მაწუხებდა, ძილიც გამიუმჯობესდა და ვალიდოლის გემოც დამავიწყდა. ამ „პატარა სასწაულს“ სწორედ სიარულს ვუმადლი, კარგად გამოზომილ და დოზირებულ სიარულს. მისი გამოყენება ყველას შეუძლია, ვისაც, რა თქმა უნდა, სიარული არ ეკრძალება, მაგრამ ვფიქრობ, იგი ყველაზე უფრო ქალებისთვის არის მოსახერხებელი...

შეიგულეთ რომელიმე წყნარი ქუჩა, სახლთან ახლოს, ანდა პარკის ბილიკი (სტადიონზე თუ ივარჯიშებთ ამას რაღა აჯობებს). თავდაპირველად ორკილომეტრიანი მონაკვეთი აირჩიეთ. ქუჩაში და პარკში ამ მანძილის გაზომვა ათასი საშუალებით შეიძლება, სტადიონზე კი იგი ხუთ წრეს უდრის. ტანსაცმელი შეგიძლიათ ჩვეულებრივი ჩაიცვათ, მხოლოდ ფეხსაცმელი უნდა იყოს უქუსლო. ეცადეთ საქმიანი ნაბიჯით, თავისუფლად იაროთ. მანძილის დაფარვამდე არ შეჩერდეთ. ვარჯიშის (სიარულის) დამთავრებიდან 10 წუთის შემდეგ პულსი შეამოწმეთ. თუ გულისცემის სიხშირე 90-100-მდე არ შემცირდა, მეორე დღეს უფრო ნელა იარეთ და ვარჯიშთა კომპლექსი უფრო ნაკლები ინტენსიურობით შეასრულეთ. ამასთან, ყოველთვის შეამოწმეთ რამდენ ხანს უნდებით ორი კილომეტრის დაფარვას. დრო რვეულში ჩაინიშნეთ. ასე განაგრძეთ ოთხი კვირის მანძილზე. ეცადეთ კვირაში 5-ჯერ ივარჯიშოთ. თვის ბოლოს თვითონვე შეამჩნევთ, რომ მანძილს უფრო სწრაფად გადიხართ და აღარც ძველებურად გიჭირთ. ნუ შეგეშინდებათ და ნურც გული გაგიტყდებათ, თუ პირველ კვირაში გაგიჭირდათ. ახალბედებს ასე მოსდით, მომდევნო რამდენიმე დღეს თუ ტემპს დაუკლებთ, თავს ისევ კარგად იგრძნობთ.

ოთხკვირიანი ვარჯიშის საბოლოო მიზანია გარკვეული სტაბილური შედეგის მიღწევა. სავალდებულო არ არის იზრუნოთ ამ შედეგის გასაუმჯობესებლად, რადგან ეს არ მოხერხდება, თუ ორგანიზმს ძალა არ დაატანეთ, ძალდატანება კი მიზანშეწონილი არ არის. ერთთვიანი ვარჯიშის შემდეგ დისტანციას გაზრდით სამ კილომეტრამდე. ივარჯიშებთ (ივლით) იგივე დატვირთვით ოთხი კვირის განმავლობაში, სანამ სტაბილურ შედეგს მიაღწევდეთ. ჩვენი ვარჯიშის საბოლოო მიზანი ხუთ კილომეტრიანი მანძილის დამორჩილებაა — ამოცანა მაშინ გექნებათ შესრულებული, როცა შეძლებთ ეს მონაკვეთი სწრაფი ნაბიჯით, შეუსვენებლივ გაუჭირვებლად გაიაროთ. ასეთი ვარჯიშის დროს ადამიანის ორგანიზმი ით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისებს თავისი სასიცოცხლო „საწვავის“ — ჟანგბადის მაქსიმალურ რაოდენობას, რასაც ვერ ახერხებს „უმოძრაო“ ცხოვრების დროს. ამის მიღწევა დაახლოებით ოთხთვიანი ვარჯიშის შემდეგ შეიძლება. გამონაკლის შემთხვევაში ეს პერიოდი შეიძლება გადიდდეს ან შემცირდეს.

სიარულს ის უპირატესობა აქვს, რომ შეგიძლიათ ივარჯიშოთ (იაროთ) ნებისმიერ დროს, როცა კი თავისუფალ დროს გამონახავთ. ოღონდ გახსოვდეთ: ვარჯიშის წინ მაძღრისად ჭამა მიზანშეწონილი არ არის. ეცადეთ ისაუზმოთ გასეირნებამდე ორი საათით ადრე. თუ სასიარულოდ უზმოზე გახვალთ, ერთი ჭიქა ხილის წვენი მიირთვით.

ყოველი მორიგი ვარჯიშის (სიარულის) შემდეგ საჭიროა შეასრულოთ რამდენიმე მარტივი სუნთქვითი ვარჯიში. ეს ვარჯიშები ოთახშიც შეიძლება შესრულდეს:

1. ხელები ასწიეთ, რაც შეგიძლიათ, აიწიეთ ფეხის წვერებზე და ღრმად ჩაისუნთქეთ. გადადგით ოთხი ნაბიჯი (ფეხის წვერებზე), ხელები ჩამოუშვით და ამოისუნთქეთ.

2. გაავარჯიშეთ წრიული ბრუნვით ხელის მტევნები, მაჯები, მკლავები და მხრები.

3. თავის წრიული ბრუნვით გაავარჯიშეთ კისერი, შემდეგ დოინჯი შემოიყარეთ და წელით იგივე მოძრაობა გაიმეორეთ.

4. ფეხები გადგით მხრების სიგანეზე. ხელები თავს მაღლა ერთმანეთს გაადაჭდეთ და შეასრულეთ ზნექი მარჯვნივ და მარცხნივ.

5. ფეხები გადგით მხრების სიგანეზე, რამდენჯერმე ჩაჯექით და ადექით.

6. წინმკლავის შემდეგ მოიხარეთ და ხელებით შეეხეთ ფეხის წვერებს. თუ ვერ ახერხებთ, მუხლები ცოტა მოხარეთ, შემდეგ წელში გასწორდით და გამართული ხელებით მაქსიმალურად გადაიხარეთ, გაიმეორეთ თითოეული ვარჯიში 4-5-ჯერ, შემდეგ კი მათი შესრულება 10-12-ჯერაც აღარ გაგიჭირდებათ. მკვეთრ მოძრაობებს ერიდეთ, განსაკუთრებით თავის წრიული ბრუნვის დროს. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ დიდად სასარგებლოა ტანის სველი „ვაფლის“ პირსახოცით დაზელვა (ნერვებს ამშვიდებს).

ალბათ უკვე დარწმუნდებით, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდი მარტივია, იოლი და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

წარმატებებს გისურვებთ, ძვირფასო ქალებო.

## მე კამხალს ფრთხილად ვუსინჯავ მაჯას...

ელექტრორკალის ჩიჩხლები მაწვიმს,
გაფატრულ მიწას ჭრილობა ტკივა...
ციდან ორბივით ეშვება ვარცლი,
აცახცახდება ბეტონში რკინა.

მოაქვთ დუღაბი, ხე-ტყე, ქარგილი,
მკვირცხლად ხმარობენ ნიჩაბს და ნაჯახს,
ეს ამწე-კოშკი დგას ვით მარგილი,
მე კამხალს ფრთხილად ვუსინჯავ მაჯას...

მთები ლალუმის ხმებით ზანზარებს,
ძილგატეხილი ვუხმობ ალიონს,
ატორტმანდება უზარმაზარი
ჭერის ბიეფი და კანიონი.

და გულში სულ სხვა ცეცხლი დამივლის,
ძარღვებში სულ სხვა დამივლის დენი.
ამ წვის,
ამ გზნების,
ყველა ამისთვის —
ენგურო ჩემო, მადლობა შენი!..

სოსო ბერიძე,
ენგურჰესის მშენებელი ინჟინერი.

* * *

ცისფერ ბილიკს აუყევ
არ ვიცადე წამიც,
შემოვხსენი მთვარეს
ნისლის მოსასხამი.
ღვთიურ ცეცხლით გავთბი,
ვთელე ეკალნარი,
იჯდეს ყვავილებში
ჩემი მთა და ბარი!

* * *

განთიადი მტრედა
გამითენდა ბედად...
ოქროსფერმა დილამ
ღიმით შემომხედა.
მზის შოლტებით ვქსოვე
ოქროსფერი წინდა
განა სხვისთვის კარგო? —
მხოლოდ შენთვის მინდა!

* * *

ცამ ღრუბლის ქულები
ფრთებივით გაშალა,
წვეთებად დაშალა
და მისცა გზა-შარა,
მთის მკერდზე ციური
ღვართქაფი ჩაღვარა,
სიცოცხლით აივსო,
ნაძვის ხე ჭალარაც,
მე სულში მეღვრება
მზის სხივი თაკარა,
მეშვიდე ცაში ვარ
არ ვჩივი აღარა, —
რადგან ცამ ხმელ ხეშიც
სიცოცხლე ჩაღვარა.

თამარ პაპიაშვილი
სოფელი კახი.

## წყვილები

შენ მოდიოდი
იებით ხელში
მზე ანათებდა
მთელ საქართველოს;
ჩემს თავს ვხედავდი
მე შენს თვალებში
— ო, რა ლმაზი
ამინდი იყო.
შენ მოდიოდი
თეთრი იებით
და გიცინოდა
იების კონა,
მე შენს თვალებში
ნაკვალევს ვტოვდი
— რა მშვენიერი
ამინდი იდგა.

მანანა შატაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალის სიმწიფე

ქალი და ასაკი... ყველაზე საჩოთირო თემა. ქალისათვის, განსაკუთრებით 30 წლის შემდეგ. როგორც კი ამ მიჯნას გავცილდებით, ასაკის შეხსენება აღარ გვესიამოვნება. და რაც უფრო ახლოვდება ჩვენი ცხოვრების შემოდგომა ფერადოვანი, მშვიდი, სათნო, მაგრამ მაინც ზამთრის მახარობელი, მით უფრო ეძალება სულს სევდიანი განწყობილებები. ზოგჯერ ჩავიხედავთ სარკეში და უსიამოვნო გრძნობა გვეუფლება — დაღლილი სახე, ჩამქრალი თვალები, შენაოჭებული უბეები... ნუთუ ეს წლობით შეჩვეული სახეა, რომელსაც არასოდეს აკლდა სიხალისე, ნუთუ სახიფათო ასაკი უკვე დადგა?

ასეთ წუთებში მხნეობას ვკარგავთ და გვავიწყდება, რომ ბევრი რამ ჩვენზეა დამოკიდებული. სიბერეზე ფიქრი ჯერ კიდევ შორს არის, მაგრამ იმისათვის, რომ გავიხანგრძლივოთ ახალგაზრდობა, გავიხალისოთ განწყობილებები, ცოტაოდენი გარჯა გვმართებს.

სილამაზისაკენ სწრაფვის სურვილი, სურვილი იმისა, რომ ვინმეს თავი მოვაწონოთ, ყოველთვის შეგვინარჩუნებს ქალურ მომხიბვლელობას. თუ ფრანგების აზრს დავუჯერებთ, რომ ქალი იმდენი წლისაა, რამდენისაც ჩანს, მაშინ ასაკი ჩვენს ხელთ ყოფილა. ამისათვის რაიმე განსაკუთრებული თილისმა არ სჭირდება ქალს. სილამაზეზე ზრუნვა ყოველდღიურად საკუთარი გარეგნობისათვის „დაკარგულ" რამდენიმე წუთს ნიშნავს. ეს არის და ეს. დიდი მნიშვნელობა აქვს პირად ჩვევებსაც. იქნებ გაგიკვირდეთ კიდეც, რა კავშირი უნდა არსებობდეს სილამაზესა და პირად ჩვევებს შორის! აბა, დაფიქრდით, რა ჩვევები გაქვთ დამკვიდრებული თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ზოგს უყვარს საქმის სახვალიოდ გადადება. ზოგი კი არც გეგმავს, ისე აქვს სისხლში გამჯდარი საკუთარი გარეგნობის მოსავლელად საჭირო პროცედურის ჩატარება თუნდაც შეუფერებელ გარემოში. მაგალითად, დილის მხაპი, ხაოიანი პირსახოცით ტანის დაზელა, კრემის წასმა სახესა და ყელზე... ეს ყველაფერი საქმიანი, ენერგიული ქალისათვის არც დამღლელია, არც დროის წამრთმევი. სულ რამდენიმე წუთს დახარჯავს, სამაგიეროდ კმაყოფილი და გახალისებული წავა სამსახურში. სხვამ შეიძლება იგივე დრო, და უფრო მეტიც, — მარტო თმის საგანგებოდ დავარცხნას მოანდომოს. რა თქმა უნდა, პირველი უფრო მეტს აკეთებს თავისი ჯანმრთელობისა და სილამაზისათვის, ვიდრე მეორე.

ალბათ შეგიმჩნევიათ, როცა რაიმე საქმეს ჩვევად ვაქცევთ, ის სასიამოვნოც ხდება, ძალდაუტანებლად ვასრულებთ და არ ვწუხვართ იმაზე, რომ ტყუილუბრალოდ ვკარგავთ ძვირფას წუთებს. ჩვენს შორის იოლად მოვძებნით ორ ისეთ ქალს, რომლებიც სხვადასხვაგვარად უყურებენ ამ საკითხს. ვთქვათ ორივე მუშაობს, ორივე დიდი ოჯახის დიასახლისია, ორივე თვითონ დადის ბაზარში, უძლევს ყველა საქმეს. ერთს ყოველთვის მოუვლელი აქვს სახე და ხელები, მეორეს— ისეთი მოვლილი, გეგონებათ საქმეს არ შეხებიაო. რატომ ხდება ასე? პირველს მაშინ ახსენდება საკუთარი გარეგნობა, როცა სტუმრად მიდის, მეორეს კი — ჩვევად აქვს ყოველი ჭუჭყიანი საქმის შემდეგ დასაპნული ჯაგრისით გაიწმინდოს ხელები და დამარბილებელი კრემი შეიზილოს, სადილის მომზადების დროს ბოსტნეულის ნარჩენებისაგან გაიკეთოს სახელდახელო ნიღაბი სახეზე. ის ტელევიზორთანაც უქმად არ ჩამოჯდება, აუცილებლად რაღაცას არგებს თავს — ან მანიკურს გაიკეთებს ან დამოკლებულ ბოლოკაბას ჩამოუშვებს. პირველ ქალს თეატრში წასვლის წინ დიდი მეცადინეობა სჭირდება, ვიდრე თავს მოიწესრიგებს, მეორისათვის ყოველდღიურად ორი-სამი წუთი საკმარისია, რომ ყოველთვის მიმზიდველი იყოს.

შეიძლება პარადოქსად მოგეჩვენოთ, მაგრამ სწორედ საოჯახო და საზოგადო საქმეებით დატვირთული ქალები ახერხებენ საკუთარი გარეგნობისათვის ზრუნვას. თანამედროვე ქალს შეუძლია ღირსი იყოს მეუღლის, დედის, ბებიის სახელისა და ამავე დროს არ დაივიწყოს, რომ ქალია, ვისი სინაზე და კდემამოსილებაც ყველა ასაკში უნდა გვხიბლავდეს. ამ ტიპის ქალს არ აკრთობს სახიფათო ასაკი, რადგან იცის, რომ ეს ჩინებული პერიოდია ქალის ცხოვრებისა. ეს ხომ ჭეშმარიტად ელეგანტური ასაკია. ეს ასაკი ყველაზე სრულყოფილად წარმოგვიდგენს ქალს. ამბობენ, ქალი ახალგაზრდობაში ისეთია, როგორიც ბუნებამ შექმნა, შემდეგ კი ისეთი ხდება, რის ღირსიც მისი პიროვნებააო.

ელეგანტურ ასაკს მოდა სჭირდება თავისი მზრუნველობითა და კეთილი რჩევებით, მუდმივი სიახლის გრძნობითა და მრავალფეროვნებით. ამ ასაკს დახვეწილი, კლასიკური და რომანტიკული სტილით შეზავებული ტანსაცმელი შვენის. თქვენი ნიჭი და გამომგონებლობა ჩააქსოვეთ ყოველდღიურ თუ საგარეო ჩაცმულობაში. კარგი განწყობილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაცმას. თუ ტანსაცმელში თავს კარგად გრძნობთ, მაშინ სახეც ხალისიანი გექნებათ. გემოვნებით შეარჩიეთ მაქმანიანი საყელო, ფერადი შარფი, გულქანდი, ლამაზი ცხვირსახოცი პიჯაკის გულისჯიბეში ჩასაკეცად, შეიძინეთ მოდური ჩანთა, ახალი ქოლგა და ფეხსაცმელი... ეს ყველაფერი თქვენს ერთი შეხედვით მოძველებულ ტანსაცმელსაც მოდურ ელფერს მიანიჭებს. რაც მთავარია, ხაზს გაუსვამს თქვენს სტილს, თქვენს მანერებს, და იმასაც მიგვანიშნებს, რომ თქვენ თანამედროვეობის შეგრძნება გაქვთ. არ დაივიწყოთ საშინაო ჩაცმულობაც. ოჯახის წევრებსაც ხომ უნდა გაუწიოთ ანგარიში. არ იფიქროთ, რომ შინ არავინ ამოწმებს თქვენს გარეგნობას. პირიქით, ყველაფერი შინიდან იწყება.

დღეს ღია, მკვეთრი ფერების მოდაა. ჩაიცვით ის, რაც მოგწონთ, რაც გიხდებათ. ვინ დაპყო ტანსაცმელი ასაკის მიხედვით! ცნობილი საბჭოთა მხატვარ-მემოდელე ვიქტორ ზაიცევი კატეგორიულად აცხადებს, რომ მოდა ყველასათვის ერთნაირად იქმნება. განა უკვდავი ინგლისური კოსტუმი ყველა ასაკის ქალს არ ამშვენებს? მთავარია, როგორ შეარჩევთ თქვენთვის სასურველ კაბას, როგორ მოირგებთ ტანზე და აქცევთ თქვენი სტილის საკუთრებად. ჩაცმის თქვენი მანერა, უპრეტენზიო იერი და სისადავე, თავისთავად გაამხელს ასაკს, ამაზე ნუ ინაღვლებთ

ვითომ რატომ არ შეიძლება თუნდაც 50 წელს გადაცილებულმა ქალმა ჩაიცვას ღია, მკვეთრი ფერის კაბა? თბილისში ზაფხულობით უამრავი ტურისტი ჩამოდის უცხოეთიდან. მათ შორის ბევრია ხანდაზმული. თუ შეგიმჩნევიათ მათ ტანზე შავი ან სხვა რომელიმე მუქი ფერის სამოსი? მხოლოდ თეთრი, ცისფერი, ვარდისფერი — აი მათი გარდერობის ფერთა გამა. ეს ფერები აახალგაზრდავებს და ცხოვრების ხალისს მატებს ქალს. ჩვენთან კი ამ ასაკის ქალს სამხიარულო ღია ფერის ჩაცმა ეთაკილება. რა თქმა უნდა, ტრადიციას დიდი ძალა აქვს, მაგრამ მაინც არაფერი დაშავდება, თუ ჩვენი ბებიებიც გადაახალისებენ თავიანთ გარდერობს.

კოხტა ჩაცმის მოყვარული ქალი სიბერეშიც შეინარჩუნებს პეწს. სილამაზე ყოველ ასაკს დაჰყვება და თავისი ფერებით ელერსება. ერთი აღმოსავლური ანდაზა მოგვითხრობს: თურმე მოხუცმა ბრძენმა სიკვდილის წინ დაიბარა ქალიშვილები და უთხრა — მე ღარიბი ვარ და არაფერი მაქვს ისეთი, რომ დაგიტოვოთ ერთი კეთილი რჩევის გარდა,— იყავით ჭკვიანები, თუ შესძლებთ, გულკეთილნი — თუ სურვილი გექნებათ, ლამაზები კი — მთელი სიცოცხლის მანძილზე.

როცა კვლავ მოგვეძალება სევდიანი ფიქრები მოახლოებულ სიბერეზე, გავიხსენოთ იმ ბრძენკაცის შეგონება და სულში ისევ გაცოცხლდება მარადქალური მომხიბვლელობის სურვილი.

ლილი გერაშვილი

იუმორი

# ლოთის მორჯულება

— რა ხერხს არ მიმართა ნინომ, რა არ ილონა მაგრამ ირაკლი ღვინის სმას ვერ გადააჩვია. ქორწინების პირველ წელს ის ტკბილ და ბრძნულ რჩევა-დარიგებას აძლევდა ქმარს, მაგრამ ქადაგად დავარდნილმა მიზანს მაინც ვერ მიაღწია. მომდევნო წელს მოთმინებადაკარგულმა ქალმა სეტყვასავით დააყარა საყვედურები ირაკლის ღვინით გაბრუებულ თავს. ამანაც არ გასჭრა. ბოლოს წყევლაკრულვაზე გადავიდა...

— ღვინო დავლიე, გესმის, ღვინო და არა დარიშხანი. რა მოხდა მერე? ღვინის მრეწველობა გეგმას ვერ შეასრულებს, თუ არავინ დალია, — თავს იმართლებდა ირაკლი გამოფხიზლების შემდეგ.

— მაშ შენ გეგმას ასრულებ, არა?

— დიახ, ვეხმარები... შეგიძლია იამაყო...

— მხამალ შეგერგოს! ნუთუ არ შეიძლება ღვინის მაგივრად ბორჯომი დალიო?

— როგორ არა, საღამოობით ღვინოს ვსვამ, დილაობით კი ბორჯომს.

— დამეკარგე, არ გნახოს ჩემმა თვალებმა.

ირაკლიც „იკარგებოდა". მაგრამ საღამოს კვლავ „სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნად"-ის ღიღინით შემოდიოდა ოჯახში.

შრომისმოყვარე ირაკლი გალოთდა. „ღვინინგიტი" დაარქვეს ამხანაგებმა მის ამ ავადმყოფობას.

ნინო, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დაიტანჯა ყოველ დილით ირაკლის ტანსაცმლის ბერტყვითა და წმენდით. შრომისმოყვარე დიასახლისს ნერვებს უშლიდა ქმრის უსაქციელობა. ეს უკანასკნელი კი თითქმის ყოველდღე მთვრალი და უქუდოდ ბრუნდებოდა შინ.

ერთ მშვენიერ დღეს (ეს დღე დაუვიწყარია ირაკლის ცხოვრებაში), ნინომ დაყვავებით მიმართა სამსახურში მიმავალ ქმარს

— ირაკლი, გენაცვალე, დღეს ქორწილში ვართ დაპატიჟებული. არ დათვრე, ისე მოდი შინ. ერთხელ მაინც, მე და შენ, საზოგადოებაში ფხიზელი გამოვჩნდეთ.

— ყანყრატოში გენაცვალე, ნინოჯან! — სიხარულით შესძახა ირაკლიმ, წვეთს არ ჩავუშვებ პირში. მოწმედ მაღლა ღმერთი იყოს, დედამიწაზე კი შენ. თუ დალევაა ბარემ ქორწილში დავლევ. ისეთ დღეს დავაყრი მაყრებს, ერთმანეთს ვერ სცნობდნენ.

ნინომ გულდასმით მოუმზადა ახალი ტანსაცმელი მეუღლეს, საღამოს თვითონაც გამოეწყო და ლოდინი დაიწყო. ღამის თორმეტ საათზე კარი გაიღო და შემოვიდა ირაკლი. ნინოს გული გადაუტრიალდა.

„ოთხი რამ მიყვარს ამ ქვეყნად, ღვინო, დუდუკი, ქალები და ნინოოო,.."

ისეთი ხმით შემოსძახა ირაკლიმ, რომ მეორე ოთახში ბავშვებმა ღრიალი მორთეს

— დედიკო, წყალი მინდა, მწყურიააა! — ატირდა ერთი.

— ხმა ჩაიკმინდე, ხაბურძაკივით გაგხეთქავ! — დაიღრიალა ირაკლიმ.

— დედიკო, ხაბურძაკი მინდაა, — აკვნესდა შუათანა.

— რა დროს ხაბურძაკია ამ თებერვალში, — არ ცხრებოდა მთვრალი, — დაიძინეთ, თორემ ლელვივით გაგიფცქვნით ტყავს სამთავეს.

— ვაი, დედიკო, ლელვი მინდააა, — აღრიალდა უმცროსი.

შუბლშეკრულმა ნინომ ხმა არ გასცა ქმარს. გავიდა მეორე ოთახში. ბავშვები დააშოშმინა და ქორწილში წავიდა.

როდესაც სუფრის ხელმძღვანელებს ირჩევდნენ, დარბაისელმა თამადამ განაცხადა:

— მანდილოსნებს შორის ჩემს მოადგილედ ნინოს ვასახელებო.

ნინომ მართლაც ისახელა თავი.

განთიადისას დამ და სიძემ ის „ვოლგით" შინ მიიყვანეს, ფეხზე ძლივს იდგა. თავში მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა, დაე ირაკლიმ გამოსცადოს როგორია მთვრალის მოვლა.

ზარის ხმაზე ირაკლი ფიცხლად წამოიჭრა. ის უკვე გამოფხიზლებული იყო და ნანობდა, ქორწილში რომ ვერ წავიდა.

— ვაიმე დედა! — გაოცებისაგან წამოიყვირა ირაკლიმ, როცა ნინო დაინახა.

— შენი დედაც და მამაც... — გაისმა ნინოს ხრინწიანი ხმა და ზედ ისეთი გინება მიაყოლა, რომ ირაკლი გაშრა. პირველი აზრი, რომელიც მას თავში მოუვიდა, იყო— ალბათ ნინო გაგიჟდაო.

— რა მოგივიდა, ნინო, გენაცვალე?! — დაუყვავა ქმარმა ცოლს.

— ლოგინი გაშალე.

— წამოდი, ირაკლი გენაცვალოს. ახლავე ჩაგაწვენ.

— მოიცა! არაყი მოიტანე...

— მთვრალია, — მიხვდა ბოლოს ირაკლი და ხმამაღლა უთხრა, — რად გინდა არაყი წამოდი, დაწექი, ჩემი თავი გენაცვალოს.

— ჰმ, შენი ცარიელი თავი რა ოხრად მინდა... არაყი-მეთქი, თორემ...

ნინომ ისე დააღრჭიალა კბილები, რომ ირაკლის ჟრუანტელმა დაუარა. მან ბუფეტიდან გრაფინი და ვიწროწელიანი ჭიქები გამოიღო.

— დაასხი!

ირაკლიმ ერთი ჭიქა შეავსო.

— მეორეც.

ქმარი უსიტყვოდ ასრულებდა მეუღლის განკარგულებას.

— ლოთებს გაუმარჯოს — გადაკარი...

ირაკლიმ გადაჰკრა!

ნინომ არყიანი სასმისი მოიქნია და კედელს შეანარცხა. ნამსხვრევები სახეში მოხვდა ირაკლის. იგი მოულოდნელობისაგან შეხტა.

— დამაწვინე! — იძლეოდა ბრძანებას ნინო.

ირაკლი მხარში შეუდგა ქალს და საწოლისაკენ წაიყვანა.

— ტუფლები გამხადე!

იგი დაიხარა, მაგრამ კვლავ წამოხტა.

— ტაშტი, ტაშტი მომიტანე!

ირაკლი გავარდა. როცა დაბრუნდა, ტაშტი საჭირო აღარ იყო.

— ტილო მოიტანე და იატაკი გაწმინდე — გაისმა ნინოს ხმა.

ირაკლი ახლა დერეფანში გაიჭრა. ჯვალოს ნაჭერი შემოიტანა და იატაკის წმენდას შეუდგა. შუბლზე ხვითქი გადადიოდა, მალიმალ საწოლს უმზერდა, რომელზეც ფერდაკარგული ნინო, იყო მისვენებული.

— ირაკლი, — ამოიხრიალა ქალმა, — დაასველე ჩემი ცხვირსახოცი და გულზე დამადე.

გამწარებული მამაკაცი ჯარასავით ტრიალებდა.

— ბორჯომი მომიტანე...

— კაბის ღუგმები შემიხსენი...

— წინდები გამხადე...

მთელი დღე იძინა ნინომ. თავზე ადგა ირაკლი. საღამოს, როცა გამოფხიზლდა, საწოლთან ატუზული მეუღლე შენიშნა.

— არაყი მომიტანე! — შესძახა მან რიხით.

— ღმერთმა დაგიფაროს, არ დალიო! მე რომ წუხელ დღე გადამხდა...

ნინომ გაიღიმა.

გავიდა სამას სამოცდახუთი დღე. ამ ხნის მანძილზე ირაკლიმ მხოლოდ ერთხელ აიღო ხელში ღვინით სავსე თასი, ნინოს დაბადების დღეს...

„ღვინინგიტით" დაავადებული საბოლოოდ განიკურნა.

ბ. მათითაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვეკითხებიან — ვუპასუხებთ

**კ ი თ ხ ვ ა — იმ პირს, რომელიც საპატიმრო ადგილას იხდის სასჯელს, როგორი წესით გადახდება ალიმენტი და რამდენი?**

**პასუხი** — როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით პირს დავალებული აქვს ალიმენტის გადახდა, სასამართლოს აღმასრულებლის მეშვეობით აღნიშნული ფურცელი იგზავნება მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით, სადაც თვიური გამომუშავებიდან დაუკავებენ ალიმენტს იმ რაოდენობით, როგორც ეს განსაზღვრულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

* * *

**კ ი თ ხ ვ ა — ვმუშაობ გაზეთის რედაქციაში მომსწენ კორექტორად. მყავს ექვსი წლის ავადმყოფი შვილი, რომლის მეთვალყურე, ჩემს გარდა, არავინ არის. ადმინისტრაცია მავალებს ვიმუშაო ღამის ცვლაში. რამდენად მართებულია ადმისტრაციის დავალება?**

**პასუხი** — შრომის კანონმდებლობით, არ შეიძლება ქალის შრომის გამოყენება ღამის სამუშაოზე, სახალხო მეურნეობის იმ დარგების გარდა, სადაც ამას განსაკუთრებული აუცილებლობა მოითხოვს და ნებადართულია როგორც დროებითი ღონისძიება.

ქალები, რომლებსაც ჰყავთ ერთი წლიდან რვა წლამდე ასაკის ბავშვები, არ შეიძლება ჩაბმული იქნენ ზეგანაკვეთურ სამუშაოებში, ან გაიგზავნონ მივლინებაში მის დაუთანხმებლად.

* * *

**კ ი თ ხ ვ ა — ვარ შრომის პენსიონერი, ვცხოვრობ კომუნალურ ბინაში და რაიონის ცენტრში ვმუშაობ. მსურს მშობლიურ სოფელში ავიღო საბაღე მიწის ნაკვეთი. გთხოვთ განმიმარტოთ, ჩემს მამაპაპეულ სოფელში მეკუთვნის თუ არა მიწის ნაკვეთი?**

**პასუხი** — სოფლად თუ არსებობს თქვენი მამა-პაპეული ნაგებობა, მაშინ უნდა აღიდგინოთ სასამართლოს მეშვეობით სამკვიდროს მიღების ვადა და სასოფლო საბჭო იქვე მოგცემთ საბაღე ნაკვეთს 400 კვადრატული მეტრი ფართობის მოცულობისას.

თუ სამემკვიდრეო ნაგებობა არ არსებობს, საბაღე ნაკვეთის მიღება შეგიძლიათ თქვენს სამუშაო ადგილზე კოლექტიურ მებაღეობაში გაწევრიანებით.

* * *

**კ ი თ ხ ვ ა — რა შემთხვევაში შეიძლება გამოვიცვალო გვარი, ეროვნება, ვის მივმართო ამის თაობაზე და ჩემს თხოვნას დააკმაყოფილებენ თუ არა.**

**პასუხი** — ვინაობის შეცვლის შესახებ უნდა მიმართოთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მმაჩის ბიუროს.

გვარის, სახელის, მამის სახელის გამოცვლის ნებართვა გაიცემა მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამისთვის არსებობს მკვეთრი საპატიო მიზეზი (გამოთქმის არაკეთილხმოვანება ან წარმოთქმის სიძნელე).

ვინაობის გამოცვლასთან ერთად არ შეიძლება ეროვნების გამოცვლა.

ვინაობის გამოცვლა არ შეიძლება, თუ განმცხადებელი ნასამართლევია ან მის საქმეს იძიებენ.

* * *

**კ ი თ ხ ვ ა — როდესაც ორსულ ქალს ნაყოფის შესანარჩუნებლად ექიმ-გინეკოლოგი წოლითს რეჟიმს უნიშნავს, მაგრამ ამისათვის შრომის უუნარობის ფურცელს არ აძლევენ, როგორ მოიქცეს მომუშავე ქალი?**

**პასუხი** — თუ ფეხმძიმე ქალი წოლითს რეჟიმს საჭიროებს, ქალთა კონსულტაციის შუამდგომლობით უნდა მოათავსონ სავადმყოფოს სტაციონარში, სადაც ავადმყოფს შრომის უუნარობის ფურცელს მისცემენ.

* * *

**კ ი თ ხ ვ ა — ვარ 22 წლის ვაჟკაცის მარტოხელა დედა. დედა-შვილი ვცხოვრობთ 17 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ კომუნალურ ერთ ოთახში. გვეკუთვნის თუ არა ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანა და თუ გვეკუთვნის, ურიგოდ მოგვეცემა თუ არა ბინა?**

**პასუხი** — თანახმად მოქალაქეთა ბინის მისაღებად აღრიცხვაზე ასაყვანი ამჟამად მომქმედი დებულებისა, თქვენს მიერ დაკავებულ კვადრატურისა და ოჯახური სულადობის მიხედვით, არ გეკუთვნით ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანა.

* * *

**კ ი ხ ვ ა — მე და ჩემი ვაჟიშვილი ვმუშაობთ წარმოებაში, რძალს მშობიარობის შედეგად მკვეთრად გაუუარესდა ჯანმრთელობა, საჭიროებს ხანგრძლივ მკურნალობას და მოთავსებულია საავადმყოფოს სტაციონარში. ჩვილი შვილიშვილის მოსავლელად ავიღე კუთვნილი შვებულება, რომლის დამთავრების შემდეგ, თუ საჭირო გახდა კვლავ მე უნდა მოვუარო შვილიშვილს, შემინარჩუნდება თუ არა წარმოებაში სამუშაო ადგილი.**

**პასუხი** — თუ შვებულების დამთავრების შემდეგ არ დაუბრუნდებით სამუშაოს, გაგანთავისუფლებენ სამუშაოდან როგორც შრომის დისციპლინის დამრღვევს.

* * *

**კ ი თ ხ ვ ა — მაინტერესებს საქორწინო ასაკი; რა დამაბრკოლებელი გარემოება არსებობს რეგისტრირებული ქორწინებისათვის და რა უფლებებს წარმოშობს მექორწინე წყვილისათვის რეგისტრირებული ქორწინება?**

**პასუხი** — საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი; გამონაკლის შემთხვევაში და კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით საქორწინო ასაკის შემცირება მხოლოდ ერთი წლით შეიძლება. რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის წერილობითი თანხმობით. რეგისტრირებული ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება არის მექორწინეთა ახლო ნათესაობა (ურთიერთის აღმავალი და დაღმავალი რიგის ნათესაობა), და კიდევ ის, თუ ერთ-ერთი მექორწინეთაგანი სხვასთან იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში. მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა ურთიერთ უფლება-მოვალეობას.

რეგისტრირებული ქორწინებით წყვილი თუ არ ითვალისწინებს ოჯახის შექმნას და ქორწინების მიზანი ანგარებაა, ან სხვა პირადი მოსაზრებით, ასეთი ქორწინება გაბათილდება და მექორწინე წყვილი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით (თავისუფლების აღკვეთითაც კი).

**თამარ ფალავა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოდა







მოდა

# ავ ნიშანთა მითოლოგია

## შავი კატა

შავმა კატამ თუ გზა გადაგიჭრა, ეს უბედურებას ნიშნავსო, — ასე სჯეროდათ ძველთაგანვე. ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა შენიშნეს, რომ კატებს სიბნელეშიც კარგად უჭრით თვალი. ამიტომ ადამიანები ფიქრობდნენ, რომ კატებს რაღაც იდუმალი ძალა აქვთ. ალბათ ბოროტი სულები, ეშმაკები, კუდიანები შავი კატების სახით ხორციელდებიანო.



## მაისში ქორწილი არ შეიძლება

„მაისში დაქორწინდები? — მთელი სიცოცხლე გაწვალდებიო“ — ამბობდნენ ცრუმორწმუნენი, რომელთაც სჯეროდათ, რომ მაისში ქორწინება სიკეთეს არ მოუტანდათ. ეს ცრუ რწმენაც შორეულ წარსულში წარმოიშვა და საფუძვლად პრაქტიკული მოსაზრება უდევს: რუსეთში მაისში სასოფლო-სამეურნეო მუშაობა ჩაღდებოდა, იდგა ერთი ორომტრიალი და ქორწილებისათვის არავის ეცალა. აქედან წამოვიდა ცრუ რწმენაც „უბედური მაისის“ შესახებ.

## სარკის გატეხვა

ჩვენს შორეულ წინაპრებს სწამდათ, რომ ადამიანი სხეულისა და უჩინარი სულისაგან იყო შემდგარი. სჯეროდათ, რომ სიცოცხლე სულშია ჩაკირული. პირველყოფილი ადამიანები წყლის ზედაპირზე თავიანთ გამოსახულებას რომ ხედავდნენ, ფიქრობდნენ, ანარეკლს კი არა, — ჩვენს სულს ვხედავთო.

მერე სარკე გაჩნდა, და მისი ანარეკლიც სულის ხატებად მიაჩნდათ. ისიც სჯეროდათ: სარკე თუ გატყდა, ადამიანის სულიც ნადგურდებაო. ასე წარმოიშვა ცრუ რწმენა — სარკის გატეხა სიკვდილს ნიშნავსო.

## ბედნიერი ნალი

რატომ სჯერათ ადამიანებს, რომ ნაპოვნ ნალს ბედნიერება მოაქვს? უძველეს დროში, ზოგ ხალხს სწამდა, რომ ქვეყანა ავი სულებით იყო სავსე. ცხენებს კი, თითქოსდა, მათი დაფრთხობა შეეძლოთ. ამიტომ, სახლის სახურავებზე ხისგან გამოთლილ ცხენის ფიგურებს ამაგრებდნენ. მოგვიანებით კი საძირკველთან ცხენის ნალს აჭედებდნენ: ცხენი თუ ბოროტისაგან გვიცავს, მაშ ნალიც დააფრთხობს ავ სულებსო. ასე გავრცელდა ცრუ რწმენა ბედნიერების მომტან ნალზე.

## უბედური „13“

რად ითვლება „13“ უბედურ რიცხვად? რატომ თვლიან მას ეშმაკეულად? ეს ცრუ ნიშანიც დიდი ხნის წინათ დაიბადა.

სპარსეთის ყურესთან, უძველეს სახელმწიფო ბაბილონში, ყველაზე კარგ რიცხვად „12“ ითვლებოდა. ბაბილონელები წელიწადს 12 თვედ ჰყოფდნენ. დღე-ღამე 24 საათს, ესე იგი ორმაგ 12 საათს შეიცავდა თვითოეულ საათში 60 წუთი, ე. ი. 5-ჯერ 12 წუთი იყო. გარდა ამისა, ციფრი თორმეტი ანგარიშისათვის მეტად ხელსაყრელია — უნაშთოდ იყოფა 2-ზე, 3-ზე, 4-ზე და 6-ზე. ამიტომ თორმეტს განზომილების (ზომის) ერთეულად თვლიდნენ.

„12-ს კი სრულიადაც არა ჰგავს მომდევნო „13“. გარდა თავისთავისა, მას ვერაფერზე გაჰყოფთ. ამიტომაც დაარქვეს მას უბედური, ეშმაკისეული რიცხვი.

## მარილი თუ დაიბნა

ძველთაგანვე ესეც ცუდად ენიშნებოდათ ხოლმე. წარსულში მარილი ძალიან ძვირად ფასობდა, — ოქროს წონა იყო, ზოგჯერ კი უფრო ძვირიც. გასაგებია, რომ მისი დაბნევა ჩხუბს იწვევდა. აი, საიდან იღებს სათავეს დღემდე არსებული რწმენა: — მარილის დაბნევა ჩხუბს ნიშნავსო.

გარეკანის პირველ გვერდზე — „სკოლისაკენ“; მეოთხეზე — გამარჯვების პარკში. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ძ. ლომთათიძე, ნ. ქუანია, პ. ჟღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. გუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 2. 08. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 09. 85 წ., ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетноиздательских листов 5,8. ტირაჟი 148.000 შეკვ. 1754 უე 05595



ქალაუ შენმა მანდილმა...

დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი.



ფასი 30 კაპ.

ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა